# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 17 ივნისი. 2016 წ. №111 (8003), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## როცა კარიბჭისგან ჭიშკარიც აღარ დარჩა



5

SOS! – ფოთი!

### ვინ და რა უფლებით ანადგურებს ქვეყნისთვის სტრატეგიულ ობიექტს – ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურს?

## ახლა კი ჩვენს უსაფრთხოებას მართლა ეშველება!



პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გუშინ გამართული ბრიფინგიდან კიდევ ერთი ინფორმაცია გახდა ცნობილი. ვანო მაჭავარიანი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა.

**— უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა ვანო მაჭავარიანი, რომელიც კურირებას გაუწევს საერთაშორისო ურთიერთობებს. ვანო მაჭავარიანს აქვს 25-წლიანი გამოცდილება დიპლომატიურ ურთიერთობებში და ასევე უსაფრთხოების საკითხებში, რაც, ჩვენი აზრით, ძალიან წაადგება პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და უშიშროების საბჭოს საქმიანობას ამ მიმართულებით,** — განაცხადა ეკა მიშველაძემ.

## საზოგადოებას აინტერესებს თუ... ეკა მიშველაძეს?



პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის გიორგი ვოლსკის განცხადება გააკრიტიკეს, რომელიც ვოლსკიმ პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის ფიქრია ჩიხრაძის განცხადების კომენტირებისას გააკეთა:

**„ამ შეფასებაზე მივიღეთ გიორგი ვოლსკის არაადეკვატური კომენტარი და პასუხი. საზოგადოებას კი აინტერესებს პარტია „ქართული ოცნება" იზიარებს თუ ემიჯნება ბიძინა ივანიშვილის ხედვებს სახელმწიფოს მართვის ფორმებთან დაკავშირებით",** — განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ. ფიქრია ჩიხრაძემ რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილის განცხადებები „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებებად შეაფასა.

### ვინ უნდა აგოს პასუხი?!

საქართველოს პრეზიდენტი სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება. განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინ გააკეთა:

**„სახელმწიფოსთვის ასეთ დამაზიანებელ გადაწყვეტილებას ყავს უშუალო პასუხისმგებელი პირები სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ უნდა დადგეს ამ პირების სამსახურებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი."**



3

### ვალერიან გორგილაძე:

დაიწყო სენსაციური კომპრომატების ომი



### ჯორჯ სოროსი:

2017 წელს რუსეთი გაკოტრდება!

3

### იანოშ ჰერმანი:

სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ბატონი მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა იყო კანონიერი



2



2

### დავით ნარმანია:

„სითი პარკს" ქალაქში არანაირი ინვესტიცია არ გაუკეთებია გარდა იმისა, რომ „იყიდეს სალებავი და დადგეს ნიშნები"

### ვახტანგ მაჭავარიანი:

საქართველოში ისეთი სურათი იხატება, მგონი, არც მადირიჟორებენ



6

### რით იკვებებოდნენ ძველ საქართველოში?




11

### მწარე წიწაკით სამეგრელოში მალარიას ებრძოდნენ...

## ერის თავსატეხი




4

სამხრეთ ოსეთიდან მოსახლეობა გარბის, ტერიტორია ტყით იფარება, რუსეთისგან გამოყოფილი ფული იფლანგება...

ახალგორში შენდება პირველი ტაძარი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ დაექვემდებარება



4

# ხალხს უყვარს ჟურნალისტები, საზოგადოებას არ ვუყვარვართ ჩვენ!



**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ევროპული ჟურნალისტიკის ტრეინინგასოციაციის (EJTA) ყოველწლიურ კონფერენციას დაესწრო, რომლის მთავარი თემაა „მედიაწიგნიერება — ახალი რეალობა“.**

ქვეყნის პირველმა პირმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებაში მედიის როლზე ისაუბრა.

„ჩვენ ვართ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესის მონაწილეები, რომელსაც სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის განვითარება ჰქვია. ეს პროცესები დიდადაა დამოკიდებული დამოუკიდებელ მედიაზე.

მედია ასრულებს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების განვითარებასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. ქართველი ხალხი დიდი ინტერესით არის განწყობილი მედიისა და პოლიტიკის მიმართ. ისინი დაინტერესებული არიან იმ რეპორტაჟებით, რომელსაც ჟურნალისტები ამზადებენ; იმ დისკუსიებითა და კითხვებით, რომელსაც მედია პოლიტიკოსებს უსვამს.

**ხალხს უყვარს ჟურნალისტები. საზოგადოებას არ ვუყვარვართ ჩვენ — პოლიტიკოსები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან აქტიურად არიან ჩართული პოლიტიკაში და აინტერესებთ ის, თუ როგორ ვითარდება საზოგადოება. სწორედ ეს პროცესი არის გარანტია ჩვენ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების“, —** განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, როდესაც ურთიერთობ მედიასთან, ეს რეალურად ნიშნავს, რომ შენ ურთიერთობ საზოგადოებასთან.

EJTA-ს ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ორგანიზებით გუშინ გაიხსნა, პირველად ტარდება საქართველოში. მასში მონაწილეობენ ქართველი, ევროპელი და ამერიკელი ჟურნალისტები, მედიის მკვლევარები და მედიასკოლების წარმომადგენლები.

კონფერენციის ფარგლებში ჯოშუა ფრიდმანისა და GIPA-ს მიერ საუკეთესო ჟურნალისტური ნაშრომისათვის გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებულიც გამოვლინდება, რომელსაც პრიზს პულიცერის პრემიის მფლობელი და პრიზის თანაავტორი ჯოშუა ფრიდმანი გადასცემს.

# იანოშ ჰერმანი: სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ბატონი მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა იყო კანონიერი



**საქართველოში ევროკავშირის ელჩის იანოშ ჰერმანის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ვანო მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობა, მასზე ზეწოლის მოხდენის მიზნით იყო გამოყენებული.**

**ამის შესახებ ჰერმანმა საკითხის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა.**

„ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ბატონი მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა იყო კანონიერი და ეფუძნებოდა გონივრულ საფუძველს, მაგრამ მეორე მხრივ, სასამართლომ თქვა, რომ წინასწარი პატიმრობა გამოყენებული იყო მასზე ზეწოლის მოხდენის მიზნით. უნდა აღინიშნოს ასევე საქართველოს პირველი რეაქცია. მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის გააგრძელოს იმ საკითხების გამოძიება, რომელიც ნახსენებია სასამართლოს ვერდიქტში, როგორც ადამიანის ევროპულ კონვენციასთან შეუსაბამო. რაც შეგვეხება ჩვენ, მინდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირის წარმომადგენლობა გააგრძელებს საქართველოში რეფორმების გატარების მხარდაჭერას. იმ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია იმის უზრუნველყოფისკენ, რომ სასამართლო სისტემა და, ზოგადად, სასამართლო სფეროში მუშაობა დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს პოლიტიკური ჩარევისგან“,- განაცხადა ჰერმანმა.

შეგახსენებთ, რომ 14 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით დადგენილება გამოაქვეყნა.

სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას, ვანო მერაბიშვილისა და მისი ადვოკატების სასარგებლოდ, კომპენსაციის სახით, სამი თვის განმავლობაში, 12 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

# თბილისში დამატებითი გაზსადენის მშენებლობა იწყება




**„ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალურმა მმართველმა გია ბენაშვილმა ავჭალა-დიდი დიღმის დამაკავშირებელი გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობა დაათვალიერეს.**

ავჭალა-დიდი დიღმის დამაკავშირებელი გაზგამანაწილებელი ქსელის მშენებლობის პროექტი გულისხმობს 8 300 მეტრის სიგრძის ქსელის მშენებლობას.

პროექტის განხორციელებას შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს და მისი ღირებულება 1 მლნ 700 ათას ლარს შეადგენს.

ამასთან, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მაგისტრალური გაზსადენის სისტემაზე შეჭრის და მიერთების წერტილში მოეწყობა სათაო გაზგამანაწილებელი სადგური (გაზის მარეგულირებელი მოწყობილობის, ხარჯმზომი კვანძის და გაზის ოდორიზაციის კვანძის გათვალისწინებით); ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან (ასაშენებელი გამანაწილებელი ქსელის ბოლო წერტილში) მოეწყობა გაზმარეგულირებელი პუნქტები.

გაზის მიღებისთვის საჭირო დამატებითი გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ ქალაქი დამატებით გაზის რაოდენობას მიიღებს და მომავალი წლების განმავლობაში, გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემის სტაბილურობას.“

# სტივ ნიკანდროსი გვაკრიტიკებს



**„საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არ არის დაინტერესებული ქვეყანაში ბუნებრივი რესურსების განვითარება წაახალისოს,“ — განცხადება ამის შესახებ გუშინ ვაშინგტონში კომპანია** Frontera Resources**-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ სტივ ნიკანდროსმა გააკეთა.**

ატლანტიკური საბჭოს კონფერენციაზე, რომელიც შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების და ენერგეტიკის საკითხებს იხილავდა, ნიკანდროსი ერთ-ერთი მომხსენებელი იყო.

**„საქართველოში აღმოვაჩინეთ დიდი რაოდენობის ბუნებრივი აირი, რაც მზად იქნება ბაზრისთვის. ამისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხოება და ინოვაციების წახალისება. ამის გასაკეთებლად კი საჭიროა მთავრობა, რომელიც მთელს ძალას ახმარს რეფორმებს. უკრაინაში ჩვენ ვნახეთ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირებისკენ, საქართველოში კი საპირისპირო ხდება,“ —** განაცხადა სტივ ნიკანდროსმა.

# ბოკერია-მარგველაშვილის შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში

**გუშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმყოფებოდა.** ბოკერია პრეზიდენტ მარგველაშვილს შეხვდა. როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ პრესსამსახურმა „პირველ რადიოს“ განუცხადა, გიგა ბოკერიამ და გიორგი მარგველაშვილმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ისაუბრეს. სხვა დეტალები ამ დროისათვის უცნობია.



# რას არ იტყვის ოთოს ენა!

## „რა მოხდა თუ გაიყვანეს, ხომ არ გაუუპატიურებიათ?!“



**ადვოკატი ოთო კახიძე ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის საქმის გამოძიების დაწყებას არ ელოდება და ამბობს, რომ რეალური გამოძიების შემთხვევაში უნდა დაიკითხოს როგორც ბიძინა ივანიშვილი, ისე ირაკლი ღარიბაშვილი, თუმცა მისი თქმით, „ეს არ გაკეთდება“.**

„მე არ ვთვლი, რომ ამ საკითხის გამოძიება არის ამ შემთხვევაში რელევანტური. ამ საქმის გამოძიება ჩვენ არ მოგვითხოვია სტრასბურგისთვის. სტრასბურგის სასამართლოს ჩვენ ვთხოვდით იმის დადგენას, რომ ეს ფაქტი ადასტურებს, რომ პოლიტიკური პატიმარია მერაბიშვილი. ამიტომ ახლა უნდათ გამოიძიონ და უნდათ, ნუ გამოიძიებენ ამ საქმეს, რომელზეც უნდა დაიკითხოს ივანიშვილი, რომელმაც თქვა, რომ რა მოხდა თუ გაიყვანაო, ხომ არ გაუუპატიურებიაო?! ასეთი განცხადება გააკეთა მან. უნდა დაიკითხოს ღარიბაშვილი და პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს ორივესი. ეს არ გაკეთდება, რა თქმა უნდა, და საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად რაღაც გამოძიების დაწყება არ შეცვლის იმ ფაქტს, რომელიც დადგენილია უკვე, რომ პოლიტიკური მოტივაციით მოხდა მერაბიშვილის დაპატიმრება“. — განაცხადა ოთო კახიძემ.

## წინასაარჩევნო დაპირება

# დავით ნარმანია: „სითი პარკს“ ქალაქში არანაირი ინვესტიცია არ გაუკეთებია გარდა იმისა, რომ „იყიდეს საღებავი და დადგეს ნიშნები“

სექტემბრიდან თბილისში ავტომობილების ტროტუარებზე პარკირება აიკრძალება. ამის შესახებ განცხადება „რადიო კომერსანტის“ ეთერში თბილისის მერმა დავით ნარმანია გააკეთა.

**„ჩვენი წინამორბედების მიერ კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი არის ძალიან კაბალური, რომელიც აბსოლუტურად ერთი კომპანიის ინტერესებზეა მორგებული. შესაბამისად, ეს კომპანია უფრო მეტ შემოსავლებს იღებს, ვიდრე ქალაქის ბიუჯეტს რჩება და სხვას არა აქვს შესაძლებლობა შევიდეს ამ ბიზნესში,“ — განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ მერია ცდილობს, გონივრული ცვლილებები შეიტანოს ამ კონტრაქტში და ამაზე დაიყოლიოს კომპანია. თუმცა ეს რთულია, რადგან, როგორც ნარმანია ამბობს, „როცა მერიას აქვს ხელი მოწერილი და მათი სამართალმემკვიდრე ჩვენ ვართ, ვერაფერს ვერ დავამტკიცებთ სასამართლოში. ამიტომ სასამართლოში წასვლას აზრი არა აქვს.“**

დავით ნარმანიას თქმით, „სითი პარკს“ ქალაქში არანაირი ინვესტიცია არ გაუკეთებია გარდა იმისა, რომ „იყიდეს საღებავი და დადგეს ნიშნები.“



**„რაც ყველაზე მეტად სამარცხვინოა, ისაა, რომ სითი პარკისთვის ტროტუარებზე პარკირების ადგილებიც კი გადაცემული აქვთ და, შესაბამისად, ჩვენი მოქალაქეების ფეხით სასიარულო ადგილებზე დღეს ავტომობილები დგას. როდესაც ჩვენ ქალაქის ხელისუფლებაში მოვედით, ასეთი 2 ათასზე მეტი ადგილი იყო. ასეთი 500 ადგილი ჩამოვართვით „სითი პარკს“ და დავუბრუნეთ ფეხით მოსიარულეებს. ვგეგმავ, რომ ამ ზაფხულისთვის დანარჩენი 1500-იც ჩამოვართვათ და სექტემბრისთვის ქალაქის ტროტუარები გავათავისუფლო ავტომანქანებისგან. ეს, ბუნებრივია, ავტომობილების მფლობელთა გულისწყრომას გამოიწვევს: როცა ერთ კარგ საქმეს აკეთებ, იმას საპირისპირო უკმაყოფილება მოყვება, მაგრამ მინდა, მოვუწოდო მძღოლებს, გაგებით მოეკიდონ ამას, რადგან ტროტუარზე მდგარი ავტომანქანა არის საფრთხე — როცა ავტომანქანები ტროტუარზე გადაადგილდებიან და იქვე მოძრაობენ ფეხით მოსიარულეები, რა თქმა უნდა, ესაა მომეტებული რისკის ზონა. ჩვენ, როგორც ქვეყანა, ისე ქალაქი, დასავლური გზით მივდივართ და დასავლეთში უპირატესობა ენიჭება ადამიანს და არა ავტომობილს. მოვუწოდებ „სითი პარკს“, ალტერნატიული პარკირების ადგილები გააჩინოს,“ —** განაცხადა ნარმანიამ.





# დაიწყო სენსაციური კომპრომატების ომი

## ვალერიან გორგილაძე: ნაკლებად მაინტერესებს დასავლეთის რეაქცია

**სოციოლოგი ვალერიან გორგილაძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ორჯერ აღემატება „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს, თუმცა, ეს უკანასკნელი კვლავ ინარჩუნებს მეორე პოზიციას. მისივე ინფორმაციით, მესამეზეა პაატა ბურჭულაძის პოლიტიკური მოძრაობა. ეს არის სამი გამოკვეთილი ძალა და, შესაბამისად, როგორც გორგილაძე ამბობს, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მაღალი კონკურენციის ნიშნით ჩაივლის.**

**დღეს ვალერიან გორგილაძე გვესაუბრება.**

**— კორცხელის ინციდენტის შემდეგ, პოლიტექნოლოგიური თვალსაზრისით, რამდენად სწორია კახა კალაძისათვის საარჩევნო შტაბის ჩაბარება, მით უმეტეს, როდესაც ამ ინციდენტზე აპელირებს დასავლეთი?**

— ნაკლებად მაინტერესებს დასავლეთის რეაქცია და ვფიქრობ, „ქართულ ოცნებასაც“ ნაკლებად უნდა აინტერესებდეს, რადგან დასავლეთის რეაქცია ხშირად არაადეკვატურია. „ქართულმა ოცნებამ“ ჩათვალა, რომ მენეჯერული თვისებებიდან გამომდინარე, კახა კალაძე უნდა იყოს შტაბის უფროსი. მორჩა და გათავდა...

**— ფიქრობთ, რომ პოლიტექნოლოგიურად ეს სწორი სვლაა?**

— თუკი გავითვალისწინებთ საარჩევნო შტაბის მართვის გამოცდილებას, ასევე იმასაც, რომ კალაძემ გარკვეული მენეჯერული თვისებები გამოავლინა, არ მგონია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კალაძის დანიშვნა კითხვის ნიშნებს იწვევდეს.

**— რაც შეეხება არჩევნებს, პრემიერის განცხადებით, მნიშვნელოვანია არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს, მაგრამ არის ეს შესაძლებელი? 2012 წელს ხალხის მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა „ქართულ ოცნებას“, დღეს კი სხვა ვითარებაა...**

— საარჩევნო კამპანიის მსვლელობამ უნდა მოახდინოს დამატებითი მხარდამჭერების მოზიდვა, რაც „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად შეუძლია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს „ოცნებას“ დაუჭერს. „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუჭირდება ლოკალურად წინააღმდეგობების გაწევა, თუმცა „შეტაკებები“ იქნება.

ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას დესტაბილიზაცია და ძალადობა, რადგან ხელისუფლებას აქვს ყველა ბერკეტი საიმისოდ, რომ მშვიდობიან ვითარებაში ჩაატაროს და მოიგოს ეს არჩევნები. „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაანახოს ყველას, რომ ის თვისობრივად განსხვავებული პოლიტიკური ორგანიზაციაა, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“ და ბევრად უფრო პოზიტიურად ატარებს საპარლამენტო არჩევნებს.

**— ბიძინა ივანიშვილი თვლის, რომ „ქართულ ოცნებას“ 95 მანდატის მიღება შეუძლია, მაშინ როდესაც მმართველი გუნდის რეიტინგი ეცემა. რამდენად უშვებთ შესაძლებლობას, რომ მმართველმა გუნდმა 95 მანდატი მიიღოს?**

— ყველანაირი მონაცემებია საიმისოდ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლებელია ხმების 35-40% აიღოს პარტიულ სიებთან მიმართებაში. მაჟორიტარული ფორმატიც უპირატესობას „ქართულ ოცნებას“ ანიჭებს, ვინაიდან აქ მნიშვნელოვანია აქტივისტების და ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც მიუხედავად ელექტორალური კრიზისისა, მაინც ბევრად უფრო დამაჯერებელი და მაღალია, ვიდრე სხვა პარტიების. ამ თვალსაზრისით თუ ვივარაუდებთ, მაჟორიტარების უმრავლესობას ასევე „ქართული ოცნება“ დაეუფლება.

ბიძინა ივანიშვილს აქვს მონაცემები და არაფერს ამბობს შემთხვევით. ყველფერი, რასაც ამბობს, რაღაცას ეფუძნება, მათ შორის — მის მიერ დეკლარირებული სტრატეგიაც. ამ სტრატეგიის მიზანია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გამოცხადდეს ძირითად მტრად, რომელსაც რევანშისტული სურვილი აქვს. ეს სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ უმრავლესობამ კოალიციის გარეშე მართოს ქვეყანა. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მესამე სივრცეს განეკუთვნებიან და რომლებიც გასვლის შემთხვევაში შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ მოკავშირეები გახდნენ უკვე შიგნით, პარლამენტში.

**— არსებობს ის მესამე ძალა, რომელიც შესაძლებელია „ნაციონალური მოძრაობის“ მოკავშირე გახდეს პარლამენტში?**

— როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი ამას არ გამორიცხავს და შესაძლებელია, ჰქონდეს საფუძველი. ავიღოთ ბურჭულაძის განცხადება, რომელიც ამბობს — „ჩვენ თუკი მოვხვდებით პარლამენტში, არ ვითანამშრომლებთ ხელისუფლებასთან, ვითანამშრომლებთ ოპოზიციასთან“, — ალბათ, იგულისხმება ალასანიას „თავისუფალი დემოკრატები“ და „ლეიბორისტული პარტია“.

**— პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლა რამდენად არის პრობლემა იმავე ხმების მობილიზაციის თვალსაზრისით „ქართული ოცნებისთვის“ ?**

— ოცნებისთვის არის პრობლემა, ვინაიდან ბურჭულაძე ხმებს არ ართმევს „ნაციონალურ მოძრაობას“, ის ხმებს ართმევს „ქართულ ოცნებას“ და ამ თვალსაზრისით ბურჭულაძე არის გარკვეული რისკი. იმავე ივანიშვილის საარჩევნო პროცესში შემოსვლის მოტივი შეიძლება იყოს ის, რომ, ბურჭულაძეს ხედავს საკმაოდ საინტერესო მონაცემებით.

**— შუალედურმა არჩევნებმა აჩვენა, რომ რთული წინასაარჩევნო პროცესი გველის. დაპირისპირების კვალდაკვალ თუ იქნება კომპრომატების ომი, როგორც 2012 წელს?**

— ყველა ინსტრუმენტი იქნება გამოყენებული. ალბათ, გველის მძაფრი, ნეგატიური კამპანია, კომპრომატების ომი, სენსაციური კომპრომატების გავრცელება, მხატვრული ხრიკი, მათ შორის — ხაინდრავას ფილმების ციკლი... შესაძლებელია, ვიხილოთ სხვა მუსიკალური კლიპები. ამდენად, ამ დაპირისპირებას ვერავინ გამორიცხავს. სასურველია, რომ არ მოხდეს ფიზიკური დაპირისპირება. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ ცალკეულ ინციდენტებს, მაგრამ ძირითადი დაძაბულობა წარმართული იქნება ელექტრონულ მედიასივრცეში.

**ალბათ, გველის მძაფრი, ნეგატიური კამპანია, კომპრომატების ომი, სენსაციური კომპრომატების გავრცელება, მხატვრული ხრიკი, მათ შორის — ხაინდრავას ფილმების ციკლი... შესაძლებელია, ვიხილოთ სხვა მუსიკალური კლიპები. ამდენად, ამ დაპირისპირებას ვერავინ გამორიცხავს. სასურველია, რომ არ მოხდეს ფიზიკური დაპირისპირება. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ ცალკეულ ინციდენტებს, მაგრამ ძირითადი დაძაბულობა წარმართული იქნება ელექტრონულ მედიასივრცეში.**

**— თქვენ ამბობთ, რომ რეიტინგის თვალსაზრისით რესპუბლიკელები მძიმე მდგომარეობაში არიან. იგივე მდგომარეობაში არიან ნაციონალებიც. ამ ვითარებაში, რამდენად შეძლებს მეორე ოპოზიციური ძალის დაკავებას პაატა ბურჭულაძე?**

— ამის შანსი აქვს პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ გაერთიანებას და სასურველიც იქნებოდა ეს კონფიგურაცია, მაგრამ რამდენად აწყობს ძალთა ასე გადანაწილება „ქართულ ოცნებას“ — ეს სხვა საკითხია. შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო პერიოდიც მძაფრი კონკურენციის პირობებში წარიმართება. დღესდღეობით რა მონაცემებიც გამაჩნია, რეალური გასვლის შანსები ხუთ პოლიტიკურ პარტიას აქვს.

კიდევ, პოტენციური რესურსი აქვს ოთხ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელთა რეიტინგიც ამჟამად დაბალია, მაგრამ იმ რესურსის გათვალისწინებით, რა რესურსსაც ფლობენ, ვგულისხმობ წევრობას ცესკო-ში, დამკვირვებლებს, დაფინანსებას, უფასო სატელევიზიო სარეკლამო დროს, რაიონულ და რეგიონალურ ორგანიზაციებს, ამ პოლიტიკურ ორგანიზაციებსაც უნდა ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობები, გადალახონ 5%-იანი ბარიერი.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**

---

**ახალი კრიზისის მოლოდინში**

# ჯორჯ სოროსი: 2017 წელს რუსეთი გაკოტრდება!



**— იმის შემდეგ, რაც მსოფლიო ეკონომიკამ 2008 წლის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგებისგან ოდნავი შვება იგრძნო და ამოსუნთქვის საშუალება მიეცა, ამჟამად ისევ რვა წლისწინანდელი მოვლენების გამეორების საფრთხის წინაშე ვდგავართ, თუმცა კი ამ ჯერზე კრიზისის გამომწვევი მიზეზი და განმსაზღვრელი ფაქტორი სრულ სხვაა — ამას ცნობილი ფინანსისტი, მილიარდერი ჯორჯ სოროსი ჯერ კიდევ ზამთარში შვეიცარიის დაბა დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე აცხადებდა.**

რვა წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში იპოთეკური კრიზისი დაიწყო, რომელიც შემდგომ ევროპისა და აზიის ქვეყნებს მოედო, ამჯერად კი ახალი კრიზისის კერად, **ჩინეთი** გვევლინება, რომელიც სერიოზული დეფლაციური პრობლემების წინაშე უკვე კარგა ხანია, დგას და ისინი თანდათანობით სხვა ქვეყნებშიც იჩენენ თავს.

— სერიოზული პრობლემები ჩინეთში დიდი ხანია, არსებობს, მათ აღმოსაფხვრელად საჭიროა მთავრობამ ეკონომიკური ზრდის მოდელში გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაში კორექტივები შეიტანოს, რის გარეშე მძიმე პერიოდის დადგომა გარდაუვალია, — აცხადებს ჯორჯ სოროსი.

მისი აზრით, ჩინეთის პრობლემები დანარჩენ მსოფლიოსაც გადაეცემა და მეტად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული ქვეყნების, არამედ მთელი რეგიონების ეკონომიკებზეც. იგი ასევე მსოფლიო მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე ყველაზე აქტიურად მოქმედ სამ მთავარ ფაქტორს აღნიშნავს. ერთ-ერთი მათგანია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩინეთი; მეორეა **ნავთობის, გაზისა და ნედლეულის ფასები;** მესამე კი **კონკურენციის შესუსტება**. იგი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დეფლაციური პრობლემების წინაშე მსოფლიო თითქმის საუკუნის წინათ იდგა, მას შემდეგ ეკონომიკა ძირეულად შეიცვალა და, ამდენად, თუ როგორია ამ გასაჭირთან გამკლავების გზები, ხეირიანად არავინ არ იცის.

ყველა სიკეთესთან ერთად, მილიარდერი სოროსი ირწმუნება, რომ ყველაფერი ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რომ **გაისად რუსეთი... გაკოტრდება**.

**— პუტინის რეჟიმს 2017 წელს გაკოტრება ემუქრება, როცა რუსეთის საგარეო ვალის გასტუმრების დრო დადგება, პოლიტიკური მღელვარება კი ქვეყანაში, შესაძლოა, უფრო ადრეც დაიწყოს,** — საქვეყნოდ აცხადებს სოროსი.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ ვლადიმერ პუტინის პოპულარობა, უმეტესწილად, „საზოგადოებასთან დადებულ კონტრაქტზეა დაფუძნებული, რომლის მთავარი პირობა ისაა, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა შიდა ფინანსური სტაბილურობა უნდა შეინარჩუნოს, თანაც ცხოვრების დონის ზრდა უნდა უზრუნველყოს“.

— არადა, დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების წნეხი და ნავთობზე მსოფლიო ბაზარზე ფასების ვარდნა, მას ამ მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობას არ აძლევს, — ამბობს ჯორჯ სოროსი. — რუსეთის ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 7 პროცენტს აღწევს, ხელისუფლებამ კი საიმისოდ, რომ ინფლაციაზე კონტროლის სადავეები არ დაკარგოს, იგი 3 პროცენტამდე მაინც უნდა შეამციროს, რისი რესურსი ნაკლებად აქვს.

იგი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **რუსეთისთვის დაშლის რეალური საფრთხისთვის თავის ასაცილებლად ყველაზე საუკეთესო ხერხი ევროკავშირის უფრო ადრე დაშლის პროვოცირებაა**. მისი თქმით, დაშლილ-დანაწევრებული ევროკავშირი ველარ შეძლებს რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ეფექტიანად გაგრძელებას და დიდხანს გამოყენებას. ამას, ლოგიკურად, ის შედეგიც მოყვება, რომ დაშლილი ევროკავშირის ქვეყნების მიმართ, უპირატესობის მიღწევასა და მის თავისდა სასიკეთოდ გამოყენებას, პუტინი გაცილებით ადვილად შეძლებს.

ჯორჯ სოროსი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ევროპისთვის რუსეთი ეგრეთწოდებულ „ისლამურ სახელმწიფოზე“ გაცილებით დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

**ოთარ ტურაბელიძე**

# პატარა სამაჩაბლო მთლად დედასაქართველოს ემსგავსება?!




## სამხრეთ ოსეთიდან მოსახლეობა გარბის, ტერიტორია ტყით იფარება, რუსეთისგან გამოყოფილი ფული იფლანგება...

**რუსული გამოცემა „Новая газета“ აქვეყნებს სტატიას სათაურით: „ჰიბრიდული თავისუფლება: სამხრეთ ოსეთიდან მოსახლეობა გარბის, უპატრონო ტერიტორია ნელ-ნელა ტყით იფარება; რუსეთის მიერ გამოყოფილი ფული იფლანგება... ესაა სასურველი დამოუკიდებლობა?“**

**რუსული გამოცემის მიერ გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**

**„საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოში მომხდარმა ხუთდღიანმა ომმა და შემდეგ რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარებამ სამხრეთ ოსეთი კავკასიის ქედის მიღმა მდებარე პრორუსულ ანკლავად გადააქცია“,** — წერს ჟურნალისტი ირინა გორდიენკო, რომელიც ცხინვალში იმყოფებოდა.

**„აქ რუსეთის სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, ოსების უმეტესობას რუსული პასპორტები აქვთ, რესპუბლიკის ბიუჯეტიც რუსული ფულით ივსება, ხოლო მის პოლიტიკასა და ეკონომიკას მოსკოველი ჩინოვნიკები კურირებენ“,** — აღნიშნულია სტატიაში.

ჟურნალისტი თავის შთაბეჭდილებებს გადმოსცემს: იგი სამი წელია, სამხრეთ ოსეთში არ ყოფილა და ახლა ბევრი რამ უკეთესობისკენაა შეცვლილი, მაგალითად, როკის გვირაბი საუკეთესო მდგომარეობაშია, მიმდებარე ტერიტორიაც მოწყობილია. ასევე შედარებით კარგად გამოიყურება ცხინვალი: ცენტრალური ქუჩები მოასფალტებულია, სკვერები ყვავილებითაა მოწყობილი და განათებულია, აღდგენილია „პარლამენტის“ შენობა, არის ინტერნეტის მიღების („ვაი-ფაის“) ზონებიც კი. მოკლედ, ისეთი ნგრევა და გაპარტახება აღარ იგრძნობა, რაც ადრე იყო.

დადებითთან ერთად, კორესპონდენტი წერს აგრეთვე ნეგატიურ ფაქტებზეც: **„მაგრამ რაც მეტი აღდგენა მიმდინარეობდა, მით უფრო მატულობდა ხაზინის ქურდობის ტემპი. რესპუბლიკის მმართველი ელიტა სრულიად კორუმპირებული იყო, ამიტომაც მოსკოვს 2011 წელს მოთმინების ფიალა აევსო და ცხინვალში კომისია გაგზავნა. რუსეთის კონტროლის პალატის მონაცემებით, 2008-2013 წლების განმავლობაში სამხრეთ ოსეთს 45 მილიარდზე მეტი რუბლი ჰქონდა გამოყოფილი. ამ ფულით სამხრეთ ოსეთში, სადაც 30 ათასი ადამიანი ცხოვრობს და რომლის ფართობი 4 ათასი კვადრატული კილომეტრია (აქედან სამი ათასი მთებია), ახალი ლას-ვეგასის აშენება შეიძლებოდა. შემოწმების შედეგები ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მას შემდეგ რესპუბლიკის ბიუჯეტში რუსული ინექციები მნიშვნელოვნად შემცირდა. „ოსურ კლონდაიკში“ ოქროს შემცველობა დაეცა.**

**ამჟამად სამხრეთ ოსეთს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ვლადისლავ სურკოვი და ჩრდილოკავკასიის საქმეთა მინისტრი ლევ კუზნეცოვი კურირებენ. ცხინვალის ბიუჯეტი ისევ რუსული რუბლით ივსება (მიმდინარე წელს - 9 მილიარდით), თითქოსდა მოქმედებს სპეციალური საინვესტიციო პროგრამა, მაგრამ რეალურად გაკეთებული საქმეები არ ჩანს: ეკონომიკა ისევ ისეთია, როგორიც იყო. მოსახლეობის 70% საბიუჯეტო სფეროშია დასაქმებული, დანარჩენი 30% — ტაქსისტი ან წვრილი მეწარმეა, რომლებიც რუსეთიდან ან საქართველოდან შემოტანილ პროდუქტებს ჰყიდიან.**

**დაკნინებულ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობაც: კონტროლის პალატის ანგარიშში მითითებულია, რომ ამ დარგს ასობით მილიონი რუბლი გამოეყო ჯიშიანი პირუტყვის, ნერგების, სათბურების შესაძენად, მაგრამ პირუტყვი თურმე დაილუპა, ნერგები გახმა, სათბურები კი დაინგრა. ხელისუფლება უარყოფს, რომ რესპუბლიკიდან მოსახლეობა გარბის, მაგრამ აშკარაა, რომ ცხინვალის ქუჩები ცარიელია. სოფლებშიც იგივე მდგომარეობაა — სახნავ-სათესი მიწები არ მუშავდება, მოუვლელი ტერიტორია ტყით ნელ-ნელა იფარება. გასულ წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, სამხრეთ ოსეთში 53 ათასი ადამიანი ცხოვრობს და მათი რაოდენობა წლითიწლობით მატულობს. მთავრობას თუ შეედავები ციფრების ნამდვილობაში, აქეთ დაგადანაშაულებს..., თუმცა ის, რომ მონაცემები გაყალბებულია, აშკარაა“,** — აღნიშნულია სტატიაში.

ავტორი ესაუბრება ცხინვალის მოსახლეობას, სოფლის გლეხებს, მეწარმეებს, საიდანაც ჩანს, რომ სამხრეთ ოსეთში სრული განუკითხაობა სუფევს.

# „სადაც გინდა, იქ ილოცეს“ ოსური ვარიანტი

## ახალგორში შენდება პირველი ტაძარი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ დაექვემდებარება

**ახალგორში, ტერიტორიაზე, რომელიც ძველ სასაფლაოს ესაზღვრება, ბერძნული ძველი სტილის ეკლესიის ალანიის ეპარქიის ახალი ტაძარი შენდება. ეს პირველი ეკლესია იქნება რაიონში, რომელიც არ დაექვემდებარება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.**

**ტაძრის კედლები სანახევროდ უკვე ამოყვანილია. ოსი სასულიერო პირების განცხადებით, მშენებლობა „ალანიის ეპარქიისა და პირადად მამა იაკობის“ მეთვალყურეობით, ახალგორის რაიონის მკვიდრი ძმების, წარმატებული მოსკოველი ბიზნესმენების ჯამბულ და დავით ქარქუსოვების დაფინანსებით მიმდინარეობს.**

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ქარქუსოვების ოჯახს კარგი რეპუტაცია აქვს, რაიონში ძმების შესახებ მხოლოდ კარგი სმენიათ, ამდენად, ამ მშენებლობის შესახებ ცნობას აქ სიხარულით შეხვდნენ: **„როგორც წესი, თუ ბიზნესმენი ეკლესიას აშენებს, ესე იგი, პოლიტიკაში მოსვლა აქვს გადაწყვეტილი. შესაძლოა, ამიტომაც წარმოშვა ამ მშენებლობამ უამრავი იპტიმისტური ჭორი რაიონში ძმების მოსალოდნელი მოსვლის შესახებ“.**




რაც შეეხება ახალგორის რაიონში „ალანიის ეპარქიის“ მოსვლას, ადგილობრივები თვლიან, რომ გათვლა კეთდება ოსურ მრევლზე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებიდან გავა. თუმცა, ახალგორელები ამაში პრობლემას ვერ ხედავენ — ვინც მოისურვებს, გადავაო:

**„ის ოსებიც კი, ვისაც ქართული არაფერი მოსწონთ, დადიან ქართულ ეკლესიაში და მათ შორის ყველაზე ღრმად მორწმუნეებიც არიან — არ აცდენენ არც ერთ ღვთისმსახურებას, იცავენ მარხვას. არა მარტო ისინი, რუსი სამხედროებიც კი თავის ოჯახებთან ერთად დადიან ქართულ ეკლესიაში. ცხინვალიდან ქალთა მონასტერში ჩამოდიან ოსი ქალები, რათა ერთი-ორი კვირა სამონასტრო ცხოვრებით იცხოვრონ. მონასტერს დიდი მეურნეობა აქვს — ძროხები, ცხვრები, ქათმები, ბოსტნები... ქალები მონაზვნებს ამ ყველაფრის მოვლაში ეხმარებიან“.**

იმ ცხინვალელებს შორის კი, ვინც საქმის კურსშია მშენებლობის შესახებ, დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. არიან ისეთებიც, ვინც მშენებლობას ეწინააღმდეგება. ისინი ამბობენ, რომ ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ — **„რაიონში არსებული ყველა ეკლესია უნდა ჩამოერთვას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და გადაეცეს ალანიის ეპარქიასო“**. მათივე აზრით, ეპარქიას **„ამის მორალური უფლება აქვს, რადგან თავის დროზე ქართველმა პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა თანამემამულეები ოსების მკვლელობისთვისო“**. სხვები პირიქით, ამას დაუშვებლად მიიჩნევენ და პოლიტიკური მოსაზრებებით ნაკარნახევ ნებისმიერ მშენებლობას ეწინააღმდეგებიან. ამასთან, ისინი იხსენებენ მამა იაკობის სიტყვებს იმის შესახებ, რომ **„ალანიის ეპარქია და ლენინგორის (ახალგორის) რაიონის ქართველი სამღვდელოება მშვიდობიანად თანაარსებობენ, მიუხედავად ყველაფრისა“.**

ოსი საზოგადო მოღვაწე თემურ ცხურბატი თვლის, რომ **„თუ ოსებს ახალი ტაძარი სურთ, დაე, ააშენონ, მაგრამ ოსებისა ქართველების ყველაფერ დანარჩენთან ერთად, ქრისტიანული მოტივებით დაყოფაც არასწორია — დიახ, ილია მეორეს გაუკეთებია გაუმართლებელი განცხადებები, მაგრამ მათი გაღრმავება-გაზვიადება საჭირო არ არის. ოსები ქართულ ტაძრებშიც დადიოდნენ, მიეჩვივნენ და დაე, იარონ. ცხინვალში სომხური ეკლესიაც იყო, მოგვიანებით იგი ქართულად იქცა, ახლა — ოსურად. და რა? მორწმუნე ადამიანისთვის პრინციპული არ არის, ალანურ ტაძარში ილოცებს, თუ არაალანურში“.**

# დევნილთა დაბრუნების წინააღმდეგნი არიან!!!



**ჟენევაში გამართულ მორიგი რაუნდის შეხვედრაზე აფხაზები და ოსები ითხოვდნენ ჟენევის ფორმატიდან დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხის ამოღებას, რასაც რუსეთიც დაეთანხმა.**

რეინტეგრაციის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ქეთევან ციხელაშვილის თქმით, არის მცდელობა, რომ ეს საკითხი მიიჩქმალოს.

**„დეტალურად ვისაუბრეთ დევნილების დაბრუნების განუყოფელ უფლებაზე. ეს არის ცენტრალური თემა, რისთვისაც საერთოდ არსებობს ჟენევის დისკუსიების კონკრეტულად ეს ჯგუფი, ამიტომ ნებისმიერი მცდელობა, რომ ეს საკითხი არ იყოს განხილული, ან იყოს მიჩქმალული და დაკნინებული, იქნება წარუმატებელი“,** — განაცხადა ციხელაშვილმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის განხილვისას რუსეთის ფედერაციისა და საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა დატოვეს მოლაპარაკებების დარბაზი. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ არაკონსტრუქციულ დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული თემების ისევე, როგორც ზოგადად, მოლაპარაკების პრინციპების მიმართ.

# შვეიცარიამ ევროკავშირში შესვლა გადაიფიქრა

**შვეიცარიის პარლამენტის ზედა პალატამ ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით 1992 წელს გაკეთებული განაცხადის უკან დაბრუნებას უყარა კენჭი. გავრცელებული ცნობით, ევროკავშირში წევრობას მხარი 13-მა პარლამენტარმა დაუჭირა, 27 კი წინააღმდეგია.**

გამოცემა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან განაცხადმა ძალა 2015 წლის რეფერენდუმის შემდეგ დაკარგა. რეფერენდუმის შედეგად, შვეიცარიის მოქალაქეებმა ევროკავშირში წევრობაზე უარი განაცხადეს.

**შეგახსენებთ, რომ შვეიცარია შენგენის ზონიდან გასვლის შესაძლებლობასაც განიხილავდა, რაც საზღვრების არასაკმარის დაცვასა და მიგრანტებს უკავშირდება.**

**ამ წერილით**, უწინარესად, სააქციო საზოგადოება ფოთის საზღვაო ნავსადგურის გენერალურ დირექტორს კლაუს ჰოლმ ლოურსენს გვსურს, მივმართოთ და ვუთხრათ, რომ საზოგადოებრივი აზრის დარბაზი ფოთელთა სახელით მისი და კოლექტივის მისამართით გამოთქვამს პატივისცემას და ადასტურებს მეგობრულ დამოკიდებულებას. საუკუნეთა განმავლობაში ქალაქი და ნავსადგური ერთიანი მცნება, ერთი მეორისგან განუყოფელი ნაწილი იყო. იმედია, გეცოდინებათ, ბატონო კლაუს, რომ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1858 წელს ფოთი გამოცხადდა არა მხოლოდ ნავსადგურად, არამედ ქალაქ ნავსადგურად – პოტიპორტ. ასეთი ქალაქები მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია და ჩვენი ქალაქი ყოველთვის ღირსეულად ატარებდა ამ სტატუსს.ეს სტატუსი, ეს ერთიანობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

# როცა კარიბჭისგან ჭიშკარიც აღარ დარჩა



## ვინ და რა უფლებით ანადგურებს ქვეყნისთვის სტრატეგიულ ობიექტს – ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურს?

დღეს არ ვილაპარაკებთ იმაზე, რატომ და როგორ გასხვისდა ნავსადგური, ვინ რა დანაშაული ჩაიდინა მისი გასხვისებისას, როგორ დაირღვა ქვეყანაში მოქმედი ყველა კანონი. ეს საკითხები სამსჯელოდ სხვა დროისთვის გადავდოთ, უმჯობესია, ისე ავაწყოთ ურთიერთობანი, რომ ამ საკითხებს საერთოდ არ მივუბრუნდეთ (ისე, ცნობისათვის – ნავსადგურის გასხვისებისას დაშვებულ შეცდომებზე, დარღვევებსა და ჩადენილ დანაშაულზე მასალები დიდი ხანია საქართველოს პროკურატურაშია გადაგზავნილი).

ჩვენი მიზანია, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მივაღწიოთ იმას, რომ დამოკიდებულება ქალაქსა და ნავსადგურს შორის იყოს კეთილი განწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელშეწყობის რეჟიმში და თუ შევძელით ამდენი – თბილი და მეგობრულიც კი. ფოთელები მზად ვართ ასეთი ურთიერთობებისთვის, ეს ჩვენი შეუვალი ეროვნული თვისებაა.

**ახლა ძირითადი საკითხი,რაზედაც გვსურს, ბატონო კლაუს, თქვენი ყურადღების გამახვილება.**

ოდითგანვე, ყველა დროს, ფოთის ნავსადგურში საზღვაო ვაგზალსა და მეზღვაურთა კლუბს შორის არსებული ტერიტორია იყო საერთო საქალაქო მნიშვნელობის და ამ ტერიტორიაზე განლაგებულ ათიოდე საქალაქო ორგანიზაციას მინიშნებული ჰქონდა თავისი ადგილსამყოფელი, დანარჩენ ტერიტორიას კი, საჭიროების შემთხვევაში, თავისი მიზნების განსახორციელებლად შეუფერხებლად იყენებდნენ თვითონაც და იყენებდა ქალაქიც.

აქ განლაგებულია ნავსადგურელთა დასვენების კერა, ე.წ მეზღვაურთა საქალაქო კლუბი (ამ შენობას თქვენ დღეს სხვა მიზნისთვის იყენებთ). აქ იდგა ნავსადგურის დამაარსებლის ნიკო ნიკოლაძის ძეგლი, რომლის წინ არსებულ ტერიტორიაზე ტარდებოდა საქალაქო საზეიმო შეკრებები თუ სხვა ღონისძიებები. ეს ძეგლი ეხლა სხვაგანაა გადატანილი.

აქ შემოდიოდა რკინიგზის ლიანდაგი და იყო რკინიგზის საქალაქო ბაქანი. და რაც ყველაზე მთავარია, აქ შემოდის ქალაქის მთავარი სატრანსპორტო გზა (დავით აღმაშენებლის პროსპექტი), რომელიც ზღვისპირთან თავდება და ამ ტერიტორიას კანონით ეწოდება ფოთის სატრანსპორტო ზონა №2.

**ამ ტერიტორიის გასხვისება-გასაჩუქრება ყოვლად შეუძლებელია კანონის შეცვლის გარეშე. კანონი კი არვის შეუცვლია.. უფრო მეტიც – ეს ტერიტორია ნავსადგურს გადაეცა 2008 წელს, მართალია, თუნდაც უკანონოდ გადმოგეცათ,მაგრამ მაინც გადმოგეცათ და ეს მომხდარი ფაქტია, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების საფუძველზე (პუნქტი 14) ეს ტერიტორია კვლავ დამტკიცებულია ფოთის საქალაქო სატრანსპორტო ზონა №2-ად.**

**როგორ გავიგოთ ეს შეუსაბამობა? მთავრობამ არ იცის, რას აკეთებს? იბადება კითხვა – ვინ უნდა იყოს დაინტერესებული აქ ჭეშმარიტების დადგენით? რატომ დუმან დღემდე და არაფერს ამბობენ, გნებავთ ნავსადგურის, გნებავთ ადგილობრივი ხელისუფლება? სწორედ ეს ტერიტორიაა ის, თქვენ რომ მავთულხლართით შემოღობეთ და მას სარეჟიმო ტერიტორია უწოდეთ. რა უფლებით, ვისი ნებართვით?**

კიდევ უფრო საინტერესოა ამ ტერიტორიაზე არსებული საზღვაო ვაგზალთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია. ენციკლოპედიური ჭეშმარიტებაა, რომ **„საზღვაო ვაგზალი, როგორც წესი, არის საერთო საქალაქო მნიშვნელობის უნიკალური ობიექტი“** (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. XVI გვ. 544-595 და ტ. XX გვ. 377) და არა ერთი რომელიმე კერძო ფირმის საკუთრება. გარდა ამისა, მას უნდა ჰქონდეს მომსახურების სათანადო პირობები (გემმისადგომები, მოხერხებული მისასვლელი გზები, მგზავრთა მომსახურების და ტვირთის დამუშავების სათანადო ტერიტორია და კიდევ ბევრი სხვა რამ). **და ეს არა მარტო მსოფლიო პრაქტიკაა, არამედ თანდაყოლილი პირობებია საზღვაო ვაგზლის არსებობისათვის.**

**ფოთის ნავსადგურის პირობებში კი ეს ყველაფერი დარღვეული და განადგურებულია, ნავსადგურის ადმინისტრაციია თვითნებობს და ფოთელთა ინტერესებს სრულად უგულებელყოფს, რაც ხალხის გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს.**

**ექვსი თვეა გასული, რაც სასამართლო პროცესი წააგეთ, და ნაცვლად აღდგენისა, ხელს უწყობთ მავანთ, რომ ვაგზლის შენობა უფრო განიავდეს და უსახური გახდეს.**

ფოთელებს გვეგონა, რომ სიტუაცია ნელ-ნელა განელდებოდა და დალაგდებოდა, მაგრამ ხდება პირიქით – ნავსადგურის ხელმძღვალობა სრულად უგულებელყოფს ფოთელთა ინტერესებს. ეს ჩვენთვის საწყენიც არის და მიუღებელიც, რამაც შეიძლება სხვა უკუქცევადი პროცესები გამოიწვიოს.

**ბატონო კლაუს!**

**რას გვირჩევთ, როგორ შევეგუოთ ფოთელები იმას, რომ საზღვაო ვაგზალი არ მუშაობს და ნაგავსაყრელად გვიქციეთ, იმას, რომ ფოთში არ შემოდის სამგზავრო გემები და საპორტო ქალაქის მკვიდრთ არა გვაქვს გემით მგზავრობის საშუალება? იმას, რომ დაგვინგრიეთ ფოთელებისათვის (და არა მარტო ფოთელებისთვის) ზღვის პირას განლაგებული ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი მშვენიერი ბულვარი, მუსიკალური ფანტანით და მხატვრული მოზაიკით მოპირკეთებული გზებით, სადაც ასწლოვანი პალმები იდგა. საღამოობით უამრავი ადამიანი პატარა ბავშვებით გამოდიოდა ზღვის პირას დასასვენებლად, გასაგრილებლად, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად, ანკესით სათევზაოდ, რესტორანსა და კაფეებში გასართობად.**

მოყვარულ მეთევზეებს აუკრძალეთ ანკესით თევზაობა ნავსადგურის სამხრეთ მოლის გარე პერიმეტრზე. ეს მაინც ხომ საერთო სარგებლობის ზონაა? განაწყენებული და დაბოღმილი დადიან უკვე მერამდენე წელია მოყვარული მეთევზეები, ბევრმა მათგანმა ლუკმა-პური და სარჩო დაკარგა. რისთვის, რა დაგიშავათ ამ ხალხმა?

**სამხრეთ მოლთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტის დეპარტამენტის 2009 წლის 15 ივნისის №308 ბრძანების შესაბამისად „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს“ დაერიცხა ქონების გადასახადი 587 746 ლარი, რომლის გადახდასაც თავს ბოროტად არიდებთ და ქალაქის ისედაც მწირე ბიუჯეტს სერიოზულად აზარალებთ. უახლოეს ხანში, ეს თუ არ გამოსწორდა, საქმე, ალბათ, სასამართლომდე მივა.**

კიდევ ერთი უმწვავესი საკითხი. **ინვესტორს აღებული აქვს ნავსადგურში 2000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნის ვალდებულება. დღევანდელი მონაცემებით კი ნავსადგურში პირიქით ხდება, ყოველთვიურად და ყოველდღიურადაც ამცირებთ კადრებს.** სულ ახალი ინფორმაციით კიდევ 100 კაცი შეამცირეთ. შემცირებულთა რიცხვი უკვე 6-7 ასეულს გადასცდა. და მიდიან კვალიფიციური კადრები, რაც მეტად მტკივნეულად აისახება მოსახლეობაში. გასაგებია, საწარმოს სჭირდება მიმდინარე წარმოების განვითარების ევოლუციური პროცესები, მაგრამ კადრებს სხვაგვარად გაფრთხილება სჭირდება.

**აი, რამდენი მოუგვარებელი და არასწორად გადაწყვეტილი საკითხი მოგვიგროვდა.**

ახლა შევაჯამოთ, ნავსადგურის გასხვისებით რა სიკეთე მივიღეთ ფოთელებმა? მავთულით შემოხლართული ე. წ. „სარეჟიმო ზონა“?

სამწუხაროდ, კარგს ვერაფერს ვერ ვიხსენებთ ფოთელები.

**ბატონო კლაუს, რა უფლებით, ვისი განკარგულებით არ გვადგმევინებთ ფეხს ფოთელებს ჩვენსავე მიწაზე, გემების ახლოდან დანახვაც კი მოგვანატრეთ. თუ მართლა ჰგონია ნავსადგურის ხელმძღვანელობას, რომ ფოთელები დაუსრულებლად ვივლით იმ გადასასვლელი ხიდით, რომელიც საცოდავად მოახლაფორთეთ და კინაღამ ხალხიც იმსხვერპლეთ?**

სასამართლო პროცესის წაგების შემდეგ ნავსადგურის ხელმძღვანელობას ერთხელაც როგორ არ გაუჩნდა კითხვა – რა უნდა უყოს საზღვაო ვაგზლის შენობას, როგორ არ ჰკითხა ქალაქის ხელმძღვანელობას, როგორია მისი მოსაზრებანი?

**აქედან ნათლად ჩანს ნავსადგურის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ქალაქისადმი, ფოთელებისადმი.**

თუ ჩვენც თქვენ მოგბაძეთ, მაშინ კვლავ სასამართლოში მოგვიწევს სამართლის ძებნა (და ამ პროცესსაც უპირობოდ მოვიგებთ, იმდენი სასარგებლო მტკიცებულება გვაქვს). უფრო საშიში სხვა არის: **ჩვენს დაუკითხავად ხალხმა თვითონ არ დაიწყოს სამართლის ძებნა. ჩვენი მონაცემებით ძალიან დიდია ნავსადგურის ხელმძღვანელობის საქმიანიბით უკმაყოფილოთა რიცხვი.** ეს უფრო მძიმე პროცესი იქნება.

დღევანდელ არსებულ მდგომარეობას რომ არავინ შეეგუება, ეს ნათელი და ცხადზე ცხადია.

**დარბაზს მიაჩნია, რომ ამ ვითარების შექმნაში გარკვეული ბრალი ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოსაც მიუძღვით, რომლებმაც თავიდანვე არ წაუყენეს სათანადო მოთხოვნები ნავსადგურის ხელმძღვანელობას და ის თავის ნებაზე მიუშვეს. თავიდანვე არ დამყარდა ის ურთიერთობა, რომელიც სასარგებლო იქნებოდა ორივე მხარისთვის. ან საქართველოს მთავრობამ როგორ მიატოვა ასე უპატრონოდ ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული ობიექტი, რომ ერთხელაც არ იკითხა, რა ხდება მის მიერ გასხვისებულ ნავსადგურში, როგორ სრულდება ორმხრივი ხელშეკრულება? ან ეს ხელშეკრულება რატომ არის ასე გასაიდუმლოებული და ცხრაკლიტულში გადამალული, რომ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაკლიეთ ვერსად? რა პასუხი გაქვთ ამ კითხვაზე კორპორაციის ხელმძღვანელობას, ან გნებავთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს? რატომ გვიქციეთ ფოთელებს სანატრელად მარტივი საჯარო ინფორმაციის მიღება? გეკითხებით ფოთელები – რაშია საქმე?**

ვშიშობ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველას მოუწევს თავისი პოზიციებიდან. ეს ხალხის მოთხოვნაა.

ინვესტირება იმას ნიშნავს, რომ ობიექტი გადასცე იმას, ვისაც მეტი საშუალება და შესაძლებლობა აქვს და გააკეთებინო ის, რისი გაკეთების ძალაც შენ არ შეგწევდა და აქედან სარგებელი ნახოს ორივე მხარემ.

**ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ფოთის ნავსადგური სამუდამო მფლობელობაში აქვს მიღებული და რაც მას უნდა, იმას გააკეთებს იქ?**

**არა, ბატონებო, ეს კარაქი არ არის, მაღაზიაში ყიდვისას ჩამოაჭრევინო რამდენიც გინდა და შინ ნებისამებრ მოიხმარო.**

ფოთის ნავსადგური ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და არავის მივცემთ უფლებას, ხელყოს მისი ქალაქთან ერთიანობა.

ამ ქვეყანაში, ისევე როგორც ყველგან სხვაგან, ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისთვის უნდა კეთდებოდეს, ხალხის ნება და სურვილი უნდა სრულდებოდეს. ფოთი და ფოთელები ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში გამონაკლისი ვერ ვიქნებით.

გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი მოთხოვნები და სათანადოდ შეაფასოთ შექმნილი მდგომარეობა.

გონიერებამ უნდა გაიმარჯვოს სულსწრაფობაზე.

ამასთან, უფრო მომგებიანი ხომ არ იქნება, მოეწყოს ქალაქის საზოგადოებასთან ქალაქისა და ნავსადგურის ხელმძღვანელობის შეხვედრა? მისი კარგად და გონივრულად მომზადების შემთხვევაში ბევრ საკითხს ნათელი უფრო მოეფინება და შესაძლებელია ის მხარეებისათვის უფრო სასარგებლო გახდეს!

გთხოვთ, დაფიქრდეთ ამაზეც.

**კეთილი სურვილებით**
**ომარ ხუხუნი,**
**ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავჯდომარე**

**P. S. ბატონებო!** დიდ საფრთხეშია ჩემი ქალაქი და ქვეყანაც. ნავსადგურის გასხვისების შემდეგ მისმა ადმინისტრაციამ აირჩია, განდგომოდა ქალაქს და ეწარმოებინა კარჩაკეტილი საქმიანობა, შედეგად გარდა სატვირთოსი, ნავსადგურში არ შედის არც ერთი სხვა დანიშნულების გემი, გაუქმდა საზღვაო ვაგზალი, რომელიც დარბაზის ძალისხმევით გადაურჩა დანგრევას. ფოთელები ვამაყობთ, რომ ფოთს საზღვაო კარიბჭედ ახსენებდნენ ყველგან. ამ კარიბჭისაგან კი დღეს „ჭიშკარიც“ არ არის დარჩენილი.

საზოგადოებრივი აზრის დარბაზი განაგრძობს უშეღავათო ბრძოლას ნავსადგურის გადასარჩენად და მის ხალხისა და ქვეყნის სამსახურში კვლავ დასაბრუნებლად.

**P. P. S. ბატონებო და მამულიშვილნო!**

თუ ჩათვლით საჭიროდ, გთხოვთ, თქვენი მადლიანი სიტყვა შეგვაწიოთ და მხარი დაგვიჭიროთ სამართლიან ბრძოლაში.

თქვენს მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის.

**ო. ხ.**

# საქართველოში ისეთი სურათი იხატება, მგონი, არც მადირიჟორებენ

### ექსკლუზიური ინტერვიუ მსოფლიოში ცნობილ დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანთან

**თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დავით კინწურაშვილი დირიჟორ ვახტანგ მაჭავარიანს არ შეხვდა. უფრო მეტიც, წლების განმავლობაში სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ოპერაში არ შეუშვეს. როგორც ვახტანგ მაჭავარიანი „მეტრონომთან“ საუბრისას აღნიშნავს, საქმიანი შეხვედრა დაგეგმილი იყო, თუმცა ადგილზე მისულ დირიჟორს გეგმები შეცვლილი დახვდა. რაც მთავარია, ამის შესახებ მხოლოდ ოპერაში მისვლის და მოსაცდელში ლოდინის შემდეგ აცნობეს.**

**რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, ცნობილი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ვაჟი ვახტანგ მაჭავარიანი „მეტრონომს“ შემთხვევის შესახებ დეტალურად ესაუბრა. ამავდროულად, ჩვენ შევიტყვეთ დირიჟორის პოლიტიკური ხედვა და მისი სამომავლო გეგმები.**

**— ბატონო ვახტანგ, ზუსტად რა მოხდა თბილისის ოპერაში?**

— მე არ ვცხოვრობ საქართველოში. ჩემი კავშირი საქართველოსთან წელიწადში ორჯერ ჩამოსვლით შემოიფარგლება, რა დროსაც აქ კონცერტს ვმართავ. ამ შემთხვევაშიც გარკვეული შეთანხმება იყო — პროგრამა გამოვაგზავნე, მინდოდა ფრანგული მუსიკის კონცერტი ჩამეტარებინა, რადგან საფრანგეთთან კარგი კავშირები მაქვს. ჩემი ინტერნაციონალური კავშირი საფრანგეთიდან დაიწყო, როდესაც მე, როგორც მარიას თეატრის დირიჟორი, პარიზში ჩავედი 1987 წელს. მაშინ მოვიდნენ ჩემთან იმპრესარიოები. მაშინ დაიწყო ჩემი ინგლისური ეპოპეა, შოტლანდიის თეატრს ვხელმძღვანელობდი, არაერთი სპექტაკლი დავდგი ლონდონში, პარიზში, აზიაში, ამერიკაში და ა.შ.

პარიზში არაჩვეულებრივი მეგობრები მყავს. ემიგრაციაში რომ წავიდნენ ქართველები, მათ შორის იყო ბაბუაჩემი დავითი და ბიძაჩემი ვახტანგი. ორივე ლევილის მიწაში წევს. 10 წელი ვიცხოვრე პარიზში. ამდენად, ფრანგული მუსიკის კონცერტი მინდოდა წარმომედგინა. ამაზე თითქოს მოვილაპარაკეთ, თუმცა მერე მომივიდა პასუხი, რომ არ გამოდიოდა ეს ამბავი და სექტემბერში მეტყოდნენ, როდის შეძლებდნენ მოწვევას. ეს მითხრა დავით კინწურაშვილმა, ოპერის ამჟამინდელმა სამხატვრო ხელმძღვანელმა. არ მესიამოვნა, რასაკვირველია, მაგრამ კარგი... მაინც ჩამოვედი, რადგან მამის წიგნი გამოვიდა გერმანიაში. პრეზენტაცია გვქონდა გოეთეს ინსტიტუტში, გადავწყვიტე თავისუფალი დრო გამომეყენებინა და თბილისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელთან ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან თეატრზე, ალექსი მაჭავარიანის „ჰამლეტზე“ მესაუბრა. ხვალ და ზეგ დასაწყებად კი არა, სამომავლო გეგმებში ჩასანიშნად. კინწურაშვილის მდივანმა დამინიშნა შეხვედრის დრო. მე პუნქტუალურად მივედი. პირველი გაოცება იყო ის, რომ თეატრში ვერ შევედი. დაცვამ არ შემიშვა, მოსაცდელში დამსვეს. ასეთი რამ ჩემ ცხოვრებაში პირველად მოხდა და იმედია, უკანასკნელად... დასავლეთში, ზოგ თეატრში ერთხელ დამიდგამს კონცერტი, მაგრამ იქ დაცვა მცნობს და არ მეუბნება, დაჯექი მოსაცდელშიო. მით უმეტეს, რომ აქ, წლების განმავლობაში თეატრის დირიჟორი ვიყავი.

შემდეგ კი მდივნისგან, უცნაური გზით გავიგე, რომ შეხვედრა გადაიდო. მას თანამშრომელმა ქალბატონმა დაურეკა, ბატონი ვახტანგი აქ არისო, მდივანმა გადმოაცემინა ტელეფონი და სხვის ტელეფონზე, მდივნისგან გავიგე, რომ ვერ მიმიღებდნენ. ამის მერე არავინ შემხმიანებია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მაშინ აიღე ტელეფონი, დარეკე, თქვი, უკაცრავად, რაღაც ხდება, ზეგ ან მაზეგ შევხვდეთ.

არც და ვერც წარმოვიდგენ, რომ რაღაც შეთქმულებაა. თუმცა, ყველაფერია შესაძლებელი.

**— როგორი უნდა იყოს, თქვენი ხედვით, ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი? და**

# ცუდას რად უნდა მტერობა!..



**კარგ ხელმძღვანელად წარსულიდან ვინ მიგაჩნიათ?**

— იყო პერიოდი, თეატრს გენიალური ზურაბ ანჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. უშეცდომო არავინ არის, მაგრამ ის იყო თეატრში დაბადებულ-მოხარშული, რომელიც ამით ცოცხლობდა. ყოველთვის იყო პოლიტიკის ჩართვა ხელოვნების სფეროში, ეს ვოლტერის დროსაც იყო, მაგრამ ანჯაფარიძემ საოცრად იცოდა თეატრი.

მაგალითად, დიმიტრი მჭედლიძე — მის დროს თეატრის ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ საკითხში ჯანსუღ კახიძეს არ ვეთანხმებოდი, მაინც მიმაჩნია, რომ სერიოზულად ნიჭიერი ადამიანი იყო და ოპერის თეატრს ასე ხელმძღვანელობდა. სამხატვრო ხელმძღვანელი უნდა იყოს მცოდნე, ძალზედ ერუდირებული, რომელიმე ერთი საქმის (დირიჟორი, მომღერალი თუ სხვა) უმაღლესი პროფესიონალი. თავის სამშობლოზე და საქმეზე შეყვარებული ადამიანი, რომლის ამოცანა იქნება კულტურის განვითარება.

**— საერთოდ, რა ხდება ქართულ საოპერო სფეროში, ბატონო ვახტანგ, ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპერაში მოსამართლეებმა საზეიმო ვახშამი გამართეს.**

— ეს ყურმოკვრით მაქვს გაგებული და თუ ეს მართლა ასე მოხდა, სამარცხვინოა. ოპერის მიმართ შეგრძნება უნდა არსებობდეს, რომ წმინდა ადგილია, სადაც ხელოვნება იქმნება. რასაც თქვენ მეუბნებით, ეს სულ სხვა ოპერიდან არის.

**— ასევე ცნობილი ფაქტია ნიკოლოზ რაჭველისა და ვახტანგ კახიძის დაპირისპირება. ამ დროისთვის დირიჟორებს შორის ზავია, თუ შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში გარკვეული არეულობაა? და ეს პოლიტიკას უკავშირდება?**

— მე პირადად პოლიტიკისგან შორს ვარ, მაგრამ ალბათ ყველაფერი, მათ შორის ურთიერთობები პოლიტიკაა. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ მუსიკა, ხელოვნება, ფერწერა არ შედის კულტურის სფეროში. ეს შემოქმედებაა. კულტურა კი არის ეთიკა, ზრდილობა, გონებრივი, სწორი გადაწყვეტილებები... ძალიან მწყინს და მიკვირს, რომ ასეთი სიტუაცია იყო შექმნილი. ასეთ დროს სახელმწიფო ტყუის, იმიტომ, რომ პრობლემებს ვერ წყვეტს. ყველაფერი სახელმწიფოს ეკუთვნის, კერძო ხომ არ არის? საერთოდ, კულტურის სამინისტრო მაგონებს ერთ-ერთი ბრენდის პოლირებულ, მაგრამ ცარიელ კარადას.

**— უფრო კონკრეტულად, რა არ მოგწონთ კულტურის სამინისტროს ამჟამინდელი პოლიტიკიდან?**

— რაც უფრო ნაკლებად იტყვიან „კი, ტო“ , არა, ტო“, უფრო კარგი იქნება. მე მგონი, კლასიკური მუსიკის სფეროზე საერთოდ აზრზე არ არიან. ასევე, 2014 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზს ალექსი მაჭავარიანის სახელი მიენიჭა. ეს მისი 100 წლის იუბილეზე მოხდა. მსოფლიოში არსებობს წესი თუ როგორ იწერება ტრაფარეტი. ჩვენთან კი დარბაზს დაუტოვეს სახელი — „თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზი“ და „ალექსი მაჭავარიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო დარბაზი“ გვერდებზე, უხილავ ადგილზე გააკრეს. შევიდნენ google-ში და ნახონ, როგორ წერია ტრაფარეტები მსოფლიოს დიდ საკონცერტო დარბაზებში. დღემდე ვიბრძვი და აქედანაც მოვუხმობ, რომ სრულად დააწერონ ტრაფარეტი დარბაზს.

ესენი ვერ ხვდებიან, რომ ამით გამდიდრდებიან, კი არ გაიაფდებიან. თუ მანდ მარტო რეპის დაკვრა უნდათ, მაშინ ეს სხვა პოზიციაა, მაგრამ ეს დარბაზი სულ სხვა მნიშვნელობით აშენდა.

**— ანუ შეზღუდავს ეს ტრაფარეტი დარბაზს და იქ თუნდაც თქვენ მიერ ხსენებულ რეპს ვერ დაუკრავენ?**

— როგორ ვერ დაუკრავენ რეპს, ბოლოს და ბოლოს, 21-ე საუკუნეა. უბრალოდ, ვერ ხვდებიან, რომ თუ გერმანული გამომცემლობა ალექსი მაჭავარიანზე წერს, რომ ქართველი ბეთჰოვენია, ეს არის ბრენდი.

**— აღნიშნეთ, რომ პოლიტიკა და კულტურა ერთმანეთს ყოველთვის ეხება. რუსულ-ქართულ ურთიერთობაში პოლიტიკა კულტურას ემიჯნება?**

— მე ვცდილობ გავემიჯნო. იმ პერიოდში მომიხდა პოლიტიკასთან ურთიერთობა, როცა რუსეთში ორკესტრს ვხელმძღვანელობდი. 2008 წელს ომი რომ დაიწყო, შევედი და ორკესტრს ვუთხარი, რომ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ხელფასს ვერ მივიღებდი იმ სახელმწიფოსგან, რომელიც ჩემ სახელმწიფოს ბომბავდა. წამოვედი. აქაც გადავდექი, 2004 წლის 30 ივნისს, როცა სრულიად ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ უკმაყოფილება გამოვაცხადე. მე არავის გავუშვივარ, ვერ გამიშვებდნენ. ჩემთვის თავისუფლებაა მთავარი და არ მინდოდა, გამეზიარებინა იმ დროინდელი პოლიტიკა.

**— რუსეთი დღეს არ ბომბავს საქართველოს, მაგრამ ოკუპირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიები. კულტურული ურთიერთობები უნდა იყოს აგრესორ ქვეყანასთან?**

— როგორ ვთქვა, რომ აქ გოდუნოვი არ უნდა დავდგათ, ან შოსტაკოვიჩის სიმფონია არ უნდა შევასრულოთ. ყველაფერს თავისი ზომა-წონა აქვს. რა თქმა უნდა, რუსეთს არ უნდა ვეფლირტაოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ქვეყანაა და მსოფლიოს აზანზარებს. ჩვენი მკვეთრად გამოხატული პოზიცია უნდა გვქონდეს. სანამ ტერიტორიები აქვს ჩვენთვის წართმეული, მანამდე ძმობა შეუძლებელია. მაგრამ, ეს არ უნდა ავურიოთ შემოქმედებაში. ტოლსტოი არ წაიკითხოს ქართველმა?

**— რა გეგმები გაქვთ?**

— საქართველოში ისეთი სურათი იხატება, რომ, მგონი, არც მადირიჟორებენ, მაგრამ ამას არ შევეგუები. რაც შეეხება რუსეთს, მარიას თეატრი რეგულარულად მიწვევს. ზოგჯერ ჩავდივარ და ვდირიჟორობ. ამას წინათ „ტრუბადური“ დავდგი იტალიაში. მანამდე გოდუნოვი დუბლინის თეატრში. ცოტა ხნის წინათ ბელგიის ნაციონალურ ორკესტრთან ერთად კონცერტები მქონდა. ანკარაში მიწვეული მთავარი დირიჟორი ვარ. ახლა ძალიან კარგი ორკესტრი მინდა ჩამოვიყვანო გასტროლით საქართველოში, მაგრამ ჯერ არ ვამბობ.

**— ნახევრად ხუმრობით: ორკესტრს რომ ჩამოიყვანთ, შეგხვდებათ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი?**

— ორკესტრის ჩამოსვლასთან მას არავითარი კავშირი არ აქვს. და საერთოდ, ბრძენი იყო დავით გურამიშვილი, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. თუ ეგეთი სამხატვრო ხელმძღვანელი უნდათ, ჰყავდეთ.

**— ინტერვიუს დასასრულისკენ, გაგვაცანი თქვენი ოჯახი.**

— ჩემი მეუღლე არის ალექსანდრა მაჭავარიანი — გრაფინია ვინგერსკი. გარდა იმისა, რომ ჩემი მეუღლეა, ის ჩემი მეგობარია. მაშინ როცა მე დავქრივარ ერთი კონტინენტიდან მეორეზე (აქედან ბრაზილიაში მივდივარ სადირიჟოროდ), ის ზრდის კარგ ბიჭს, სახელად, ალექსი მაჭავარიანს. ალექსი 17 წლისაა. სიამაყით ვამბობ, რომ მუსიკალური სკოლა 96 ქულით დაამთავრა, თან ერთი წლით ადრე, რადგან ისეთი კარგი იყო, „გადაახტუნეს“.

**— მამის და ბაბუის კვალზე მიდის?**

— არა მარტო. დედის მხრიდან ნათესავები ცხენოსნები ჰყავს. ბელგიის ჩემპიონია ცხენოსნობაში, ბელგიის ნაკრების წევრია და მაღალი ჯილდოები აქვს მიღებული.

სხვათა შორის, მამაჩემი ტანმოვარჯიშე იყო ახალგაზრდობაში და თავს ამით ირჩენდა. მისთვის რომ გეთქვათ, ცუდი კომპოზიტორი ხარო, სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ რომ გეთქვათ, ცუდი სპორტსმენი ხარო, ძალიან სწყინდა. მიხარია, რომ ჩემი შვილი ბევრ წიგნს კითხულობს და 6 ენაზე საუბრობს. მას ინტერესის ორი სფერო აქვს — მუსიკა და კვანტური ფიზიკა. ვნახოთ, რომელი სძლევს.

ჩემი მეუღლის მადლობელი ვარ. როგორც კი სახლში გერმანულად დავუწყებდი ბავშვს საუბარს, ალექსანდრა იმ წუთშივე მაჩერებდა, ქართულად დაელაპარაკეო. ქართული, კარგი ტრადიციები გვაქვს შენარჩუნებული. მეუღლემაც იცის ქართული ენა და აკეთებს კარგ ქართულ კერძებს.

**ესაუბრა
მანა ნოდია**

**— საქართველოში ისეთი სურათი იხატება, რომ, მგონი, არც მადირიჟორებენ, მაგრამ ამას არ შევეგუები. რაც შეეხება რუსეთს, მარიას თეატრი რეგულარულად მიწვევს. ზოგჯერ ჩავდივარ და ვდირიჟორობ. ამას წინათ „ტრუბადური“ დავდგი იტალიაში. მანამდე გოდუნოვი დუბლინის თეატრში. ცოტა ხნის წინათ ბელგიის ნაციონალურ ორკესტრთან ერთად კონცერტები მქონდა. ანკარაში მიწვეული მთავარი დირიჟორი ვარ. ახლა ძალიან კარგი ორკესტრი მინდა ჩამოვიყვანო გასტროლით საქართველოში, მაგრამ ჯერ არ ვამბობ.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის საერთაშორისო მოლაპარაკებების მორიგ – 36-ე რაუნდში, რომელიც 14-15 ივნისს ჟენევაში გაიმართა, მთავარი მოთხოვნა, რაც ქართულმა დელეგაციამ წამოაყენა, გახდა საქართველოსთვის რაშიდ კანჯი-ოღლის გადაცემა, ვინაც მსახურობს ოკუპირებული აფხაზეთის სასაზღვრო სტრუქტურებში, რასაც აკონტროლებს რუსეთი და რომელზეც არის ეჭვი, რომ მან მოკლა საქართველოს მოქალაქე გიგი ოთხოზორია.**

ქართული დელეგაციის განცხადების თანახმად, რუსეთის მხარე ასევე დათანხმდა იმას, რომ ეჭვმიტანილი უნდა დაისაჯოს. თუმცა, როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით დონდუა ამტკიცებს, სოხუმის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს წარმოედგინათ გამოკვლევის კონკრეტული შედეგები, რომელიც თითქმის ერთი თვის წინათ დაიწყეს სეპარატისტული აფხაზეთის სამართალდაცვის სტრუქტურებმა.

**„ჯერჯერობით ეჭვმიტანილი თავისუფალია, არის იმის საფრთხე, რომ პირები, ვინც დაინტერესებული არიან სიტუაციის დესტაბილიზაციით, მოაწყობენ პროვოკაციებს“, რუნებას თავიანთ სახლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.**

როგორც შემდგომ ჟურნალისტებს გრიგორი კარასინმა განუცხადა, „დღევანდელი შეხვედრის ატმოსფერო მნიშვნელოვნად გაართულა გაეროს გენერალური ასამბლეის 7 ივნისის რეზოლუციამ, რომელმაც აღიარა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაბრუნების შესახებ“. **რეზოლუციას ამჯერად 76 ქვეყანამ დაუჭირა მხარი. 15 ქვეყანა იყო წინააღმდეგი, 64-მა კი თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ, გაეროს ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, იძულებით გადაადგილებულ იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დარეგისტრირებული არიან საქართველოში, შეადგენს 262 704 კაცს.**

სეპარატისტული ხელისუფლებები აცხადებენ, რომ არ განიხილავენ ქართველი ლტოლვილების პრობლემას მანამ, სანამ საქართველო არ შეწყვეტს ამ საკითხის განხილვას გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. რუსეთის მხარე მხარს უჭერს გამოყოფილი რეგიონების წარმომადგენელთა პოზიციას.

უფრო მეტიც, როგორც სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, მანამ, სანამ პროტესტის ნიშნად დატოვებდნენ სხდომის დარბაზს, აფხაზეთის წარმომადგენლებმა წამოაყენეს ბრალდებები შეერთებული შტატების წინააღმდეგ, განაცხადეს, რომ ამერიკის მხარე „სარგებლობს იმ სახელმწიფოს სტატუსით, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს გაეროს შტაბ-ბინა, საერთაშორისო არსებული ნორმების დარღვევით, კვლავ უარს ეუბნებიან აფხაზეთის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებს გასვლით ვიზებზე, რითაც ბლოკავენ შესაძლებლობას – აცნობონ გენერალური ასამბლეის დელეგაციას ობიექტური და ზუსტი ინფორმაცია ლტოლვილების პრობლემების შესახებ კენჭისყრის პროცედურამდე.

# კავკასიაში უშიშროებისა და სტაბილურობის ჟენევის მოლაპარაკებანი: პრეტენზიების ურთიერთგაცვლა




## საერთაშორისო ამაო შეხვედრების 36-ე რაუნდი – ახალი და ძველი წინააღმდეგობანი და ურთიერთსაჩივრები

– განუცხადა ჟურნალისტებს 15 ივნისს დონდუამ.

რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა 36-ე რაუნდის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოს წარმომადგენლები „გაზრდილ ყურადღებას უთმობდნენ იმ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელიც 19 მაისს მოხდა“. ამავე დროს, როგორც კარასინმა აღნიშნა, გიგი ოთხოზორიას მკვლელობა განხილული იქნება „ინციდენტების თავიდან აცილებისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში, რომლის შემდგომი სხდომა 6 ივლისს გაიმართება.

თავის მხრივ, როგორც სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, აფხაზეთის დელეგაციამ მოუწოდა ქართულ მხარეს, „ნუ მოახდენენ ამ ინციდენტის პოლიტიზებას, ნუ შექმნიან დამატებით დაძაბულობას და მისცენ შესაძლებლობა აფხაზეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს, მოაწყონ ობიექტური გამოკვლევა“.

### საზღვრების დემარკაცია და დისკრიმინაცია

**ქართულმა დელეგაციამ ჟენევის შეხვედრის დროს ასევე დააყენა საკითხი ცხინვალის რეგიონში სადემარკაციო სამუშაოების უკანონობის შესახებ. მაგალითად, 6 ივნისს სოფელ ავლევთან საოკუპაციო ჯარების წარმომადგენლებმა კვლავ გადაიტანეს პირობითი საზღვარი დაახლოებით 15 ჰექტარზე იმ ტერიტორიის სიღრმეში, რომელიც თბილისის კონტროლის ქვეშაა.**

ამავე დროს სეპარატისტული სამხრეთი ოსეთის წარმომადგენელმა საკონფლიქტო მოწესრიგების საკითხებში მურად ჯიოევმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა თბილისის უნიადაგო პრეტენზიების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სეპარატისტული ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მისი სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში, და რუსი მესაზღვრეები მოქმედებენ „კანონიერად“ ცხინვალსა და მოსკოვს შორის 2009 წელს შეთანხმების ფარგლებში. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, ადრე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო არაერთგზის აცხადებდა ამასთან დაკავშირებით, რომ „არასამართლებრივად მიაჩნია მცდელობები „გადაიტანონ ისრები“ საქართველოსა და ცხინვალის რეგიონს შორის სადემარკაციო ხაზის გადატანასთან დაკავშირებით, ვინაიდან, რუსეთის საგარეოპოლიტიკური უწყების თანახმად, სამხრეთი ოსეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“, ღებულობს ზომებს თავისი სახელმწიფო საზღვრის კეთილმოწყობისათვის“.

### დემარში და პრეტენზიები ამერიკის შეერთებული შტატებისათვის

**მორიგი დემარში ცხინვალის, სოხუმისა და მოსკოვის წარმომადგენელთა მხრიდან მოხდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მხარე შეეხო ქართველი ლტოლვილების დაბ-**

სოხუმის სხვა პრეტენზიები, რომლებიც გამოთქმულია შეერთებული შტატების მისამართით, დაკავშირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებასთან ადამიანის უფლებების შესახებ, რომელიც, აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, „ატარებს არაობიექტურ ხასიათს, მასში უხვადაა მიუღებელი და რეალობას მოწყვეტილი ფორმულირებები“.

### „აქტივობის ახალი ხვეულა“

**პრეტენზიები გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. ისინი შეეხებოდა „საქართველოში ნატოს აქტიურობის ახალ ხვეულას“. კერძოდ, ჟენევის მოლაპარაკებათა 36-ე რაუნდის განცხადებასთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სოხუმისა და ცხინვალის „სერიოზული შეშფოთების“ მითითებით, გააკრიტიკა ამერიკა-საქართველოს ერთობლივი სამხედრო სწავლება, რომელიც მაისის ბოლოს გაიმართა.**

შეგახსენებთ, რომ ანგარიშით მეორე სწავლება მიზნად ისახავდა ქართველი მეომრების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებას ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში, რასაც საქართველო შეუერთდა 2015 წლის სექტემბერში.

აღსანიშნავია, რომ თბილისი უკვე რამდენიმე წელიწადია უარს ამბობს იურიდიულად გააფორმოს ზეპირი დაპირება – არ გამოიყენოს ძალები თავისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, აცხადებს, რომ გამოყოფილი რეგიონები „არ არიან კონფლიქტის დამოუკიდებელი მხარეები“, და დაჟინებით მოითხოვს, რომ ასეთი შეთანხმების ხელმოწერა – აუცილებლობის შემთხვევაში – შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან. ამავე დროს, მოსკოვი აცხადებს, რომ არ არის კონფლიქტის მხარე და უარს აცხადებს ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას.

**შეგახსენებთ, რომ ჟენევის დისკუსიები რეგულარულად მიმდინარეობს 2008 წლის შემოდგომიდან გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დისკუსიის შემდგომი რაუნდი 4-5 ოქტომბერს გაიმართოს.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



### ჰაკერმა იკისრა პასუხისმგებლობა აშშ-ის დემოკრატიული პარტიის სერვერების გატეხვაზე

**ამის შესახებ ბოროტმოქმედებმა ფსევდონიმით Cuccifer 2.0 გაავრცელა ინფორმაცია თავის ბლოგში. დასადასტურებლად მან გამოაქვეყნა დოკუმენტების ნაწილი, რომელთა მოპარვის შესახებაც ადრე იტყობინებოდა კომპანია Crowdstrike , რომელიც დაკავშირებული იყო კრემლის ჰაკერების დაჯგუფებასთან.**

### ვიეტნამში დაიმსხვრა რუსული წარმოების გამანადგურებელი – ერთ-ერთი პილოტი გადარჩა

**მეორე მფრინავის ძებნა ამჟამად გრძელდება. მასში მონაწილეობას ღებულობს 1,5 ათასზე მეტი კაცი და დაახლოებით 200 სატრანსპორტო ერთეული. ცნობილია, რომ გამანადგურებელი СУ-30¤¤2 რადარების ეკრანებიდან გაქრა, როდესაც ასრულებდა საწვრთნელ გაფრენას ნგეანის ცენტრალური პროვინციის რაიონში. ავარიის ზუსტი ადგილი ჯერჯერობით დადგენილი არაა.**

### ირანმა სარჩელი შეიტანა ამერიკის მიმართ 2 მილიარდ დოლარზე

**სასარჩელო განცხადება გაეგზავნა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს. ირანი მოითხოვს დაუბრუნონ აქტივების 2 მილიარდი დოლარი, რომლებიც გაყინეს შტატებში. აპრილში ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ფული უნდა გადასცემოდა დაღუპულების ოჯახებს 1983 წელს ბეირუთში ამერიკელი საზღაო ქვეითი ჯარების ყაზარმების აფეთქების და სხვა შეტევების დროს.**

### აშშ უკრაინას გამოუყოფს 220 მილიონ დოლარს რეფორმებისა და კორუფციასთან ბრძოლის განხორციელებისათვის

**ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სიტყვებით, ეს სახსრები მიზნად ისახავს გააძლიერონ „უკრაინის ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებასა და კანონის უზენაესობას“. დახმარების ახალმა პაკეტმა ასევე მხარი უნდა დაუჭიროს ქვეყნის მთავრობის მიერ სავარაუდო ინიციატივებს საბაჟო რეფორმებთან და კორუფციასთან დაკავშირებით და ენერგეტიკული უშიშროების გაძლიერებას.**

### დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უფროსი გვაფრთხილებს დასავლეთში ისლამური სახელმწიფოს ახალი ტერორისტული აქტების ალბათობის შესახებ

**ჯონ ბრენანის აზრით, ისლამისტები „მეტ იმედს იქონიებენ პარტიზანულ ტაქტიკაზე, რათა მოახდინონ ერაყსა და სირიაში თავისი ტერიტორიული დანაკარგების კომპენსირება“. ისლამურ სახელმწიფოს გაზრახული აქვს მიმართოს როგორც პირდაპირ თავდასხმებს, ისე მისი მომხრეების მიერ მოწყობილ აქტებს, რომლებიც მიმართული იქნებიან მტრების წინააღმდეგ უცხოეთში – როგორც ეს იყო პარიზში ან ბრიუსელში.**

### მეცნიერებმა მეორედ შეძლეს დაეფიქსირებინათ გრავიტაციული ტალღები

**„გრავიტაციული ტალღების ხელმეორედ აღმოჩენა იძლევა ძლიერ იმპულსს მთელს მსოფლიოში ახალი თაობის გრავიტაციულ-ტალღობრივი დეტექტორების შექმნისათვის ცვალებადი სამყაროს შემდგომი კვლევის მიზნით“, – განაცხადა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტმა სერგეი სტრიგინმა. გრავიტაციული ტალღები პირველად იქნენ დაფიქსირებული შარშან სექტემბერში.**



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)**

**კრედიტის/სესხის** № IDA5245-GE; IBRD 8263-GE

**პროექტის** № P130413

**დავალების სახელწოდება:** „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის (EWHIP-4) ფარგლებში E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური შეფასების ანგარიშისა და მართვის გეგმის მომზადება."

**კონტრაქტის/RFE No:** EWHIP-4/CS/CQS-05

**საიდენტიფიკაციო** № EWHIP-4 PP, კომპონენტი 2, პუნქტი No. 25

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: „აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის (EWHIP-4) ფარგლებში E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური შეფასების ანგარიშისა და მართვის გეგმის მომზადება."

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- სენსიტიური გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის რეცეპტორების განსაზღვრა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის დერეფნის და რიკოთის გვირაბის ფარგლებში, უნდა აღინიშნოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან და კულტურულ აქტივებთან დაკავშირებული რისკები, რომელიც ასოცირდება მოსალოდნელ სამშენებლო სამუშაოებთან ამ მონაკვეთზე, და აღწერს მათ ბუნებას და ფარგლებს;
- ითანამშრომლოს კლიენტის მიერ დაქირავებულ დიზაინერების გუნდთან გზატკეცილის ზუსტი მარშრუტის განსაზღვრისათვის პროცესში, ინტეგრირებული გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივების განსაზღვრისათვის ოპტიმალური მარშრუტის შესარჩევად;
- უზრუნველყოს დეტალური შემარბილებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მოსალოდნელი მშენებლობის უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე და გარემოსდაცვითი მართვის მატრიცის განვითარებას, რომელიც შეცავს შემარბილებელ და საზედამხედველო გეგმებს.
- ინსტიტუციონალური წყობის განსაზღვრა ადმინისტრირების და გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური შეფასების ანგარიშისა და მართვის გეგმის მომზადების დროს მაგისტრალის აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობის და ოპერირების პროცესში, სუსტი მხარეებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება ამ წყობაში, და განსაზღვრული სუსტი მხარეებისათვის რეკომენდებული ღონისძიებები;
- როგორც მოთხოვნილია, დაეხმაროს კლიენტს გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური შეფასების ანგარიშისა და მართვის გეგმის მომზადების ანგარიშის პროექტის საჯარო კონსულტაციების დროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან გარემოსდაცვითი ნებართვის მოპოვების პროცესში.

**დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 7 თვე.**

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. ინტერესის გამოხატვა უნდა ფარავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: გამოცდილება დავალების შესაბამის აქტივობებში, ძირითადი პერსონალის რესურსი და კვალიფიკაცია, კორპორატიული პროფილი. ინტერსის გამოხატვა უნდა მოიცავდეს ძირითადი პერსონალი მოკლე ბიოგრაფიებს რომ დადასტურდეს კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისობა შესასრულებელ დავალებასთან.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს" კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალი კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებაში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებმა შეიძლება შექმნან გაერთიანება (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღების გაერთიანებების ფორმებია ან ერთობლივი საწარმო ან ქვე-კონსულტანტობა და ინტერესის გამოხატვა მკაფიოდ უნდა ასახავდეს გაერთიანების ბუნებას) თავიანთი კვალიფიკაციის გასაძლიერებლად. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასებისას. დავალების შესაბამისი პროექტების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას ფორმა №1-ის სახით, რომელიც ატვირთულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ მისამართზე: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტებმა უნდა შეზღუდონ თავიანთი ინტერესის გამოხატვა 20 გვერდამდე. კომპანიის ბროშურები შეიძლება წარმოდგენილი იქნას დანართად და ისინი არ ჩაითვლება 20 გვერდის ლიმიტში.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, შესწორებული 2014 წლის ივლისში („კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები"). წარმოდგენილი ინტერესების გამოხატვის საფუძველზე, მოკლე სია შეიქმნება და უმაღლეს ადგილზე მყოფი კონსულტანტს მოეთხოვება წარმოადგინოს ტექნიკური და ფინანსური წინადადება.

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

კონსულტანტს უნდა ჰქონდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების გამოცდილება.

მოკლე სიის კრიტერიუმები:

- ზოგადი გამოცდილება;
- გამოცდილება მსგავს დავალებებში (ე.ი. გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური შეფასების ანგარიშისა და მართვის გეგმის მომზადების გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში - დავალება დასრულებულია 2011 წელს ან მას შემდეგ).

***შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.***

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და თანდართული ზემოთ მოცემული ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 1 ივლისის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: მაია ქალიაშვილი

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Forth East-West Highway Improvement Project (EWHIP-4)**

**Credit/Loan No.** IDA 5245-GE; IBRD 8263-GE

**Project No.** P130413

**Assignment Title:** `Carrying Out Detailed Environmental and Social Impact Assessment and Preparing Environmental and Social Management Plan for the Improvement of Chumateleti-Khevi Section of E-60 Highway".

**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/CQS-05

**Reference No.** EWHIP-4 PP, Component 2, Item No 25.

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Forth East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultancy companies (Consultants) to express their interest in providing the following services: **`Carrying Out Detailed Environmental and Social Impact Assessment and Preparing Environmental and Social Management Plan for the Improvement of Chumateleti-Khevi Section of E-60 Highway".**

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

- Identify sensitive environmental, social, and cultural heritage receptors within the corridor of East-West highway and Rikoti Tunnel, point out risks to the natural and social environment and to the cultural assets associated with the anticipated construction works in this section, and describe their nature and scope;
- Cooperate with the team of designers hired by the client in the process of defining exact route of the highway with the purpose of integrating environmental, social, and cultural heritage perspectives into the selection of the optimal route;
- Provide a set of detailed mitigation measures aimed at avoiding or decreasing expected negative impacts of construction on the natural, social, and cultural environment, and develop an environmental management matrix including mitigation and monitoring plans;
- Describe institutional set-up for administering and enforcing ESMP throughout the construction and operation of the subject section of the highway, identify weaknesses and gaps in this set-up, and recommend measures for addressing the identified weaknesses;
- Assist the client, as requested, during public consultations on the draft ESIA report and through the process of obtaining an environmental permit from the Ministry of Environment and Natural Resources Protection (MoENRP).

**The estimated duration of assignment is 7 months.**

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 (`Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link: http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the `Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 (`Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

**Required Qualification of the Consultant:**

The Consultant must have an experience in preparation of Environmental and Social Impact Assessment and Environmental management Plan

**Shortlisting Criteria:**

- General experience;
- Experience in similar assignments (i.e. Preparation of Environmental and Social Impact Assessment and Environmental Management Plan during last 5 years – assignments completed in and/or after 2011).

***Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.***

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **July 1, 2016, 17:00 hours.**

Name: Maia Kaliashvili

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

el-fosta: info@georoad.ge

veb-gverdi: www.georoad.ge

## ძლიერი წვიმა და სეტყვა ბორჯომსა და შიდა ქართლში

**ძლიერი წვიმა და სეტყვა იყო ბორჯომში, რის შედეგადაც დატბორილია ეზოები და საავტომობილო გზები. უხვი ნალექი სანიაღვრე სისტემამ არ გაატარა, რამაც დატბორვა გამოიწვია. მოსახლეობა კოლექტორების დასუფთავებას ითხოვს. სეტყვამ სოფელი სადგერიც დააზარალა. ადგილობრივებს მოსავალი თითქმის მთლიანად გაუნადგურდათ.**

სეტყვამ დააზარალა რამდენიმე სოფელი შიდა ქართლშიც. სოფელ კვარხეთში განადგურებულია ხეხილი, ვაზი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ასევე დაისეტყვა სოფლები ზერტი, სკრა და ვარიანი. მოსახლეობა ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვს.

## ახალდაბის გზაზე მცირე მეწყერი ჩამოწვა

**ახალდაბის გზაზე მცირე მეწყერი ჩამოწვა, — აცხადებს თბილისის მერი დავით ნარმანია. შესაბამისმა სამსახურებმა გუშინ დილიდან დაიწყეს გზის გაწმენდითი სამუშაოები და ამას გართულება არ მოჰყოლია.**

ნარმანიამ გასულ ღამეს მოსული წვიმის შედეგებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ უხვ ნალექს არსებითი შეფერხება და სერიოზული პრობლემები არ გამოუწვევია და მხოლოდ რამდენიმე ქუჩაზე მოხდა წყლის დაგუბება.

## 16 ივნისის თავსხმამ თბილისში ქუჩების ნაწილი დატბორა

**გუშინ ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ დედაქალაქის ქუჩების ნაწილი დატბორა, წყლის ნაკადმა პრობლემები შეუქმნა ავტომობილებს. დოლიძის ქუჩაზე დაგროვებულმა წყალმა ავტომობილების გადაადგილება შეაფერხა და გზის საფარი დააზიანა. უხვი ნალექი იყო წყნეთსა და ბეთანიაშიც.**

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ღამის განმავლობაში რამდენიმე გამოძახება დაფიქსირდა ვერეს ხეობაში.

თვითმხილველებმა დატბორილი ქუჩების ამსახველი კადრები სოციალურ ქსელებში გაავრცელეს.



## აჭარაში კიდევ ერთი მუზეუმი გაიხსნა



**ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი ხელვაჩაურში 2016 წლის მაისის ბოლოს ამოქმედდა. მუზეუმის პოპულარიზაციის მიზნით აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მუზეუმში აჭარაში მოქმედი ტურისტული სააგენტოებისთვის ინფოტური მოაწყო.**

მუზეუმის დამფუძნებელმა ქემალ თურმანიძემ სააგენტოების წარმომადგენლებისთვის პრეზენტაცია გამართა და მუზეუმში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული კუთხეების შესახებ ისაუბრა. შეხვედრისას ტურისტულ სააგენტოებსა და მუზეუმს შორის თანამშრომლობის საკითხებიც განიხილეს. ქემალ თურმანიძის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ 3000 კვ.მ.-ზეა განთავსებული. მასში აჭარის რეგიონის ყოფა-ცხოვრების და ტრადიციების ამსახველი ნივთები და მასალებია 15-ზე მეტ თემატურ სივრცეში წარმოდგენილი.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი** (EWHIP-4)

**კრედიტის/სესხის** № IDA5245-GE; IBRD 8263-GE

**პროექტის** № 130413

**დავალების სახელწოდება:** "E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება".

**კონტრაქტის/RFE No: EWHIP-4/CS/ICS-07**

**საიდენტიფიკაციო** №EWHIP-4, კომპონენტი 1, პუნქტი No.9

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: "E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის მომზადება".

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 1 თვე.

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

ამ დავალების მიზნის მისაღწევად, კონსულტანტმა, სავარაუდოდ, უნდა განავითაროს საკომპენსაციო ხეების დარგვის გეგმის განხორციელება E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთისათვის, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისად და შეადგინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასების ანგარიში E-60 აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის მონაკვეთისთვის (აპრილი 2015).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება საბუნებისმეტყველო, აგრარულ და სხვა შესაბამისი მეცნიერების დარგის სფეროში (სატყეო);
- მინიმუმ 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება სატყეო სფეროში;
- დაგეგმვა/განხორციელება გაშენება/აღდგენის საქმიანობის გამოცდილება;
- ანგარიშის კარგად წერის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- წარსულში საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.

***შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.***

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – "მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა IBRD ) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, შესწორებული 2014 წლის ივლისში "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს. კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი პარტნიორების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომელიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალი კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებაში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ნაწილი V: "ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა" მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო: კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება, მსოფლიო ბანკის მსესხებელთა მიერ (2011 წლის იანვარი, შესწორებული 2014 წლის ივლისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და თანდართული ზემოთ მოცემული ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 1 ივლისის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: მაია ქალიაშვილი

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Forth East-West Highway Improvement Project**

**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**

**Project No.** P130413

**Assignment Title:** "Preparation of a Compensatory Tree Planting Plan for E-60 East-West Highway section between Zemo Osiauri-Chumateleti"

**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/ICS-07

**Reference No.** EWHIP-4 PP. Component 1, Item No.9

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Fourth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the following services: **"Preparation of a Compensatory Tree Planting Plan for E-60 East-West Highway section between Zemo Osiauri - Chumateleti".**

The estimated duration of assignment is 1 month.

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to develop a compensatory tree planting plan to be implemented within the E-60 East-West Highway section between Zemo Osiauri – Chumateleti right of way in accordance with the national legislation of Georgia and the Environmental and Social Impact Assessment report for the E-60 East-West Highway section between Zemo Osiauri – Chumateleti (dated April 2015).

Required experience and qualification:

- Higher Education in the field of Natural science , Agriculture and other relevant sciences (forestry);
- At least 5 years of work experience in the field of forestry;
- Experience of planning/implementation of afforestation/reforestation activities;
- Good report-writing skills in Georgian and English languages;
- Past work experience with international organizations would be an asset.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

An individual consultant will be selected in accordance with the procedures set out in Section V: "Selection of Individual Consultants" of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers (January 2011, revised July 2014).

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **July 1, 2016, 17:00 hours.**

Name: Maia Kaliashvili

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

ევრო — 2016



# მწვრთნელებს რას გაუგებ...

**ნათქვამია, ექსპერიმენტებისთვის ამხანაგური შეხვედრები საუკეთესო საშუალებააო, მაგრამ მწვრთნელი რისი მწვრთნელი იქნება, ოფიციალურ მატჩებშიც რომ არ სცადოს ველოსიპედის გამოგონება. მართალია, ასეთი წიაღსვლები არცთუ იშვიათად სავალალოდ მთავრდება, მაგრამ სამაგიეროდ გუნდის მესაჭეს თავის სამართლებლად განმარტება გამზადებული აქვს: განაცხადში 23 მოთამაშე იმიტომ შემყავს, ძირითად შემადგენლობაში როტაციას მაშინ მივმართო, როცა ამას მიზანშეწონილად მივიჩნევო.**

საილუსტრაციოდ საფრანგეთში მიმდინარე ევროპის XV ჩემპიონატის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის სასტარტო შეხვედრები გამოდგება.

**„ა“ ჯგუფი**

**საფრანგეთი — ალბანეთი 2:0,**

**რუმინეთი — შვეიცარია 1:1.**

მასპინძელთა თავკაცმა დიდიე დეშამმა პოგბა და გრიზმანი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათმა შემცვლელებმა მარსიალმა და კომანმა პირველი ტაიმი ჩააფლავეს, იძულებული გახდა „სამფეროვანთა“ ლიდერები ჩაება ბრძოლაში.

საბოლოო შედეგი ყველაფერზე თვალნათლივ მეტყველებს, თანაც, სიმბოლურია, რომ ძირითადი დროის უკანასკნელ წამებზე ანგარიში ზუსტი თავურით სწორედ გრიზმანმა გახსნა, ხოლო მეორე გოლი მე-6(!) დამატებულ წუთზე რუმინელებთან თამაშის გმირმა პაიემ გაიტანა, რომელიც თანდათან ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის პირველ ვიოლინოდ ყალიბდება.

სხვათა შორის, იგი კარპატელთა პენალტისტ სტანკუსთან ერთად 2-2 გატანილი ბურთით ბომბარდირთა დავაში დაწინაურდნენ.



სიტყვამ მოიტანა და არც ანგელ იორდანესკუს ნოვაციებმა გაამართლა ბოლომდე. მართალია, მან მინდორზე ანდონე და გრიგორე კი გამოიყვანა, მაგრამ სასურველი სამი ქულის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — შვეიცარიელებს იმ დროისთვის წონასწორობა უკვე აღდგენილი ჰქონდათ (მეჰმედი) და მათთვის ფორტუნასაც რომ გადმოეხედა, მეორე გამარჯვებასაც გამოსჭედდნენ. ისე, თუ გავითვალისწინებთ ამ კვარტეტში განვითარებულ მოვლენებს, ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლებს სანერვიულო მაინც არაფერი აქვთ — ცალი ფეხით ისინი უკვე მერვედფინალში არიან და უმოტივაციო ფრანგებთან, რომლებმაც პირველებმა ვადამდე გაინაღდეს პლეი-ოფის საგზური, ალბათ, ოფიციალურად გაიფორმებენ მომდევნო ეტაპზე გამოსვლის უფლებას.

**საფრანგეთი — 6, შვეიცარია — 4, რუმინეთი — 1, ალბანეთი — 0 ქულა.**

**III ტურში ითამაშებენ: საფრანგეთი — შვეიცარია, რუმინეთი — ალბანეთი.**

**„ბ“ ჯგუფი.**

**რუსეთი — სლოვაკეთი 1:2**

ოტ დობრა დობრა ნე იშჩუტ — აქვთ მშვენიერი გამოთქმა რუსებს.

სავარაუდო იყო, რომ მათი სამწვრთნელო შტაბი ლეონიდ სლუცკის ხელმძღვანელობით გაითვალისწინებდა აღნიშნულ სიბრძნეს და სლოვაკებთან უმნიშვნელოვანეს დუელში ნახევარმცველთა იმ ტრიოს დააწყებინებდა თამაშს, რომელმაც სარბიელზე გამოჩენისთანავე შეიტანა გარდატეხა ინგლისელებთან სასტარტო მატჩში.

ჩრდილოელთათვის სამწუხაროდ, ასე არ მოხდა — გლუშაკოვი, მამაევი და შიროკოვი პარტნიორებს ამჯერადაც შესვენების შემდეგ შეუერთდნენ, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. აკინფეევი დიდოსტატური დარტყმებით საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის ვლადიმერ ვაისის ვაჟმა და ჰამშიკმა დაამწუხრეს, პრესტიჟის გოლი კი, რომელიც გლუშაკოვმა მე-80 წუთზე შეაგდო, ჩვენს მეზობლებს მხოლოდ მორალურ კომპენსაციად გამოადგებათ.

სამაგიეროდ, რუსმა ფანებმა კიდევ ერთხელ ივაჟკაცეს ლილის ქუჩებში ინგლისელ — უელსელთა გაერთიანებული „ლაშქრის“ წინააღმდეგ გამართულ თავ-პირის მტვრევაში, რის შემდეგაც ათეულობით ბრიტანელი საავადმყოფოში მოხვდა, ხოლო 20-მდე მოიერიშეს საფრანგეთიდან დეპორტაცია ემუქრება.

**გიორგი შოთაძე**

კრივი

# სამივე სინჯის ჯილდოებით

**ანაპაში დამთავრდა ახალგაზრდა მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა (მწვრთნელები - ბეჟან ჭიჭინავა, ილია ტლაშაძე, გოჩა რუსია) ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით დედაქალაქელმა ესკერხან მადიევმა იყოჩაღა. პირველ წრეში მან რასმუს ბერგმანს (ფინეთი) მოუგო, შემდეგ ჯეისონ ჰერთსა (ირლანდია) და მარკ დიკინსონს (ინგლისი) სძლია, ნახევარფინალში — ეგორ ბეჟენარუს (მოლდოვა), გადამწყვეტ პაექრობაში კი რუს დმიტრი კრუჟკოვს აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა.**



მსგავს წარმატებასთან ახლოს იყვნენ თბილისელი სახილ ალახვერდიევი და მარნეულელი ოთარ ნავერიანი. ალახვერდიევი პირველ წრეში თავისუფალი იყო, მეორეში ოლეგ ჩულიაჩიევი (უკრაინა) დაჯაბნა, მერე მის გზას გაუყენა მასი იურვანენი (ფინეთი) და არსენ აბგარიანი (სომხეთი), ფინალი კი დაძაბულ პაექრობაში დათმო იტალიელ ნიკოლა გორდელასთან. მარნეულელმა მოკრივემ ზედიზედ დაამარცხა აკაშ თაქირი (ინგლისი), ფილიპ მესაროში (სლოვაკეთი) და ჟორჟიკ მარუტიანი (სომხეთი), ფინალი კი ვლადიმირ სტრიგინთან (რუსეთი) 1:2 წააგო და, ალახვერდიევის მსგავსად, ვერცხლის მედალს დასჯერდა. მეოთხე ჯილდო (ბრინჯაოსი) საქართველოს დელეგაციას მძიმე წონაში მოასპარეზე გიორგი ჭილლაძემ მოუტანა: ანტონ ანტონოვისა (ბელარუსი) და მიჩელ ბარტონის (შოტლანდია) ძლევის შემდეგ მან ნახევარფინალი სომეხ გურგენ ჰოვანესიანთან დათმო.

**გივი გაგუა**

რაგბი

# მეცხრე ადგილისთვის იბრძოლებენ

**ინგლისურ მანჩესტერში მიმდინარე ახალგაზრდა მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი ლიდერთან — ირლანდიის ნაკრებთან გამართა. ჩვენმა ბიჭებმა პაექრობა კარგად დაიწყეს, მაგრამ ცუდად დაასრულეს.**

უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა“ პირველი წუთებიდანვე შეუტიეს კუნძულელებს და მე-5 წუთზე ვასილ ლობჟანიძემ ლელოთი ანგარიში გახსნა, ხოლო დავით მოძღვრიშვილმა ზუსტად გარდასახა და ჩვენი გუნდი 7:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ 3 წუთიც არ იყო გასული, ილია სპანდერაშვილმა მეტოქეს ფეხი რომ ჩაარტყა და თამაშის ბოლომდე გააძევეს. კაცნაკლული გუნდით ირლანდიის გამკლავება შეუძლებელი აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ ტრავმის გამო ოთარ გიორგაძე და მიხეილ ბაბუნაშვილი გამოგვაკლდნენ, თამაშის მიწურულს კი მსაჯმა ლუკა გოგინავა გაასინბინა და შეხვედრა 13 მორაგბით დავასრულეთ. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები (მირიან მოდებაძე, ლადო მიმინოშვილი, გიორგი კოშაძე, გიორგი კვესელაძე, სანდრო მერკვილიშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ვასილ ლობჟანიძე. თორნიკე მატარაძე, ლაშა საჯაია, ლაშა ტაბიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ოთარ გიორგაძე, ილია სპანდერაშვილი, გიორგი ცუცქირიძე, ბექა გორგაძე. გიორგი ხუროშვილი, ლუკა გოგინავა, გიორგი მელიქიძე, დემურ ეფრემიძე, ირაკლი ცხადაძე, გელა აფრასიძე, სანდრო ილურიძე, რატი შანიძე) 7:35 დამარცხდა, ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და მე-9 ადგილისთვის იტალიას დაუპირისპირდება. ჩვენს ჯგუფში მოთამაშე აწ უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ახალმა ზელანდიამ ბოლო ტურში უელსს 18:17 კი სძლია, მაგრამ ნახევარფინალში ვერ მოხვდა და მხოლოდ მე-5 ადგილისთვის იბრძოლებს.

A **ჯგუფი**

**სატურნირო მდგომარეობა: ირლანდია - 13, ახალი ზელანდია — 10, უელსი — 7, საქართველო — 1 ქულა.**

B **ჯგუფი**

**შოტლანდია — იტალია 27:19, ინგლისი — ავსტრალია 17:13.**



**სატურნირო მდგომარეობა:** ინგლისი — 14, შოტლანდია — 9. ავსტრალია — 7, იტალია — 0 ქულა.

C **ჯგუფი.**

**არგენტინა — იაპონია 39:20, სამხრეთი აფრიკა-საფრანგეთი 40:31.**

**სატურნირო მდგომარეობა:** არგენტინა — 13, სამხრეთი აფრიკა — 11, საფრანგეთი — 5, იაპონია — 0 ქულა.

**პლეი ოფი**

**IX ადგილისთვის.** საქართველო — იტალია, იაპონია — საფრანგეთი,

**V ადგილისთვის.** ახალი ზელანდია — უელსი, შოტლანდია — ავსტრალია,

**ნახევარფინალი.** ინგლისი — სამხრეთი აფრიკა, ირლანდია — არგენტინა.

**ლაშა დიდია**

ქორწილია, ქორწილი!..



# შვაინშტაიგერი და ივანოვიჩი ევრო 2016-ის შემდეგ შეუღლდებიან

**„ბილდის“ ინფორმაციით, გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი ბასტიან შვაინშტაიგერი და სერბი ჩოგბურთელი ანა ივანოვიჩი ევროპის 2016 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულებისთანავე შეერთდებიან.**

წყაროს ცნობით, ქორწილი 12 ივლისს ბელგრადში გაიმართება და 300 მოსაწვევია დარიგებული.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# რით იკვებებოდნენ ძველ საქართველოში?

**რას ჭამდნენ ძველი ქართველები, რა ჰქონდათ სადილად თუ ვახშმად, რას თესავდნენ და რას აცხობდნენ? როგორც ექსპერტები ამბობენ, იმ პროდუქტების დიდი ნაწილი, რომელიც ახლა ყოველდღიურ რაციონში შედის, სულ რაღაც საუკუნის წინ არც იშოვებოდა. მაშ, როგორი იყო ერთი ჩვეულებრივი ადამიანის მენიუ შუა საუკუნეებამდე?**

ხორბალი და ყურძენი საქართველოში რომ უხსოვარი დროიდან მოდის, ეს საზოგადოდ ცნობილი ფაქტია, თუმცა, ამას ვერ ვიტყვით სოფლის მეურნეობის ბევრ სხვა პროდუქტზე. ის მცენარეები, რომლებიც დღეს ნებისმიერ ბაზარში იყიდება, ქართულ რეალობას ნელნელა, საუკუნოვანი ინტერვალებით ემატებოდა.

აგრარული უნივერსიტეტის საცდელი ბაზების ხელმძღვანელი ვალერი ამირანაშვილი ამბობს, რომ კარტოფილის მოყვანა საქართველოში მხოლოდ 1818-1819 წლებში დაიწყეს, ისიც არა ქართველებმა, არამედ თბილისის მახლობლად მცხოვრებმა რუსებმა და გერმანელებმა. შემდეგ კარტოფილი გორსა და ახალციხეში გავრცელდა. მე-18 საუკუნის მორე ნახევარში შემოვიდა პომიდორიც, რომელსაც თავიდან ტომატოს ეძახდნენ.

„კიტრი ძველია, მისი სამშობლო არის ინდოეთი და, დაახლოებით, ექვსიათასწლოვანი ისტორია აქვს, თუმცა, მისი საქართველოში შემოსვლის თარიღი არ ფიქსირდება“.

მისივე თქმით, დაახლოებით, მე-16 საუკუნიდან შემოდის სიმინდი, ლობიო...

ეთნოლოგი როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, რომ საქართველოში ძალიან იყო განვითარებული მემინდვრეობა. მოჰყავდათ ჭვავი, შვრია, ფეტვი, ოსპი, ბარდა და მრავალნაირი ადგილობრივი ჯიშის ხორბალი. საგანგებოდ მთის ხორბალიც გამოიყვანეს, რომ მარხვის პერიოდში მაღალმთიან რაიონებში საკვები ჰქონოდათ. მისივე თქმით, ფეტვი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში. მისგან კვერებს აცხობდნენ, ხშირად ყველითაც. მოგვიანებით ლობიომ ოსპი და ბარდა ჩაანაცვლა, სიმინდმა კი — ფეტვი და ღომის ღომი, რადგან ეს უკანასკნელი რთული მოსაყვანი იყო.

„ხორცს როგორ ინახავდნენ ჩვენი წინაპრები? ყოველ სახლში არსებობდა ე. წ. საცივე კუთხე. ეს კუთხე ისე იყო მისადაგებული ლანდშაფტს და გარემო პირობებს, რომ იქ მზის სხივი ვერასდროს აღწევდა და მუდამ სიცივე და სიგრილე იყო. ასეთ პირობებში ხორცი და სხვა პროდუქტები კარგად ინახებოდა. გარდა ამისა, არსებობდა მიწაში დიდი ორმოს ამოთხრის, ორმოს მოპირკეთებისა და იქ სხვადასხვა მცენარეულობის შენახვის ტრადიციაც“.

მსგავსი საცავები ჰქონდა ციხეებსაც, სადაც მოსახლეობა ომიანობის დროს იმალებოდა. როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, რომ შემოსევების დროს მტერი ხშირად მინდვრებს წვავდა და ამ დროს მოსახლეობას ტყის ნობათით გაჰქონდა თავი, თუმცა ხანდახან სამეფო სალაროებიც იხსნებოდა, რომ



**მწარე წიწაკით სამეგრელოში მალარიას ებრძოდნენ...**

ხალხისთვის საკვები შეეძინათ. განსაკუთრებული იყო ომში მიმავალი მამაკაცის საგზალიც.

„ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა ისეთი პროდუქტები, რომელიც დროში გამძლე იყო და თან აბგაში ან ხურჯინში მცირე ადგილს იკავებდა — მაგალითად, ჩურჩხელა, ფეტვის შეჭამანდი, რომელსაც წყალში გახსნიდნენ და ერთგვარ სუპის მსგავს მასას მიიღებდნენ. ასევე ძალიან ხშირად მიჰქონდათ წაბლი, ცერცვი. იგივე მიჰქონდათ ნადირობის დროსაც“.

მწერალმა და ლინგვისტმა დიანა ანფიმიადმა ქართულ კულინარიაზე ერთი წიგნი უკვე დაწერა. დიანა ანფიმიადის თქმით, ძველად საქართველოში ყველაზე მეტად ფხალეული და სხვადასხვა შეჭამანდები, წვნიანები იყო გავრცელებული. ასევე, ჯერ კიდევ კოლხეთში აკეთებდნენ თაფლითა და ნიგვზით შეზავებულ ხორბალს, ანუ წანდილს.

„ძველი კოლხეთის თემაზე ჩატარებული კვლევების შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ნიგვზით და თხილით კერძების შენელება, რაც დღეს ერთ-ერთი ძირითადი ხაზია, არის მაშინდელი“.

დიანა ანფიმიადი დიალექტურ კორპუსში მუშაობს, რომელიც წლებია, სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები ადამიანების ამბებს იწერს. ისინი ხშირად ლაპარაკობენ სხვადასხვა კერძებზე და მათ შორის ისეთებზეც, რომლებიც უკვე დავიწყებულია:

„ზეპირ ისტორიებში და დიალექტურ ტექსტებში ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა ფხალეულობისა: ნაცარქათამა, ჭინჭარი, მხალი ბაია, ია... ისეთ დასკვნამდე მიდიხარ, რომ, ფაქტობრივად, რაც კი მოდის ჩვენთან, ყველაფერი იჭმევა“.

რა თქმა უნდა, კვებითი რაციონი განსხვავებული იყო სხვადასხვა სოციალური ფენისთვის. პლატონ იოსელიანი „გიორგი მეცამეტის ცხოვრებაში“ წერს, რომ მეფეს უცხვებოდა ხუთი რიგი პური: მურასა, საგარეჯო, შოთი, პირგაჭრილი პური და კაკალა პური...

„რა ქება ვთქვა იმ საჭმელებისა. მართალია, ბლამანჟები არ იყო, მაგრამ ჩინებულად მასალებით და გემრიელად გაკეთებული იყო. და არ შეიძლებოდა, იმათი სადილი შემწვარი ხბო არ ყოფილიყო. ის ხბოც განგებ გასუქებული უნდა ყოფილიყო. გააგრძელებდა სადილს და რომ არ გაციებულიყო, ყველას ლავაში ეფარა. მერე ლავაშქვეშ შეჰყოფდა ხელსა და ყველა საჭმლიდგან თითო ან ორს ლუკმას აიღებდა და ვინც სუფრაზედ დარბაისელნი უსხდნენ, თითო-თითოდ უბოძებდა, ვისაც უფრო სწყალობდა“.

ჟან შარდენი კი სამეფო ლხინის აღწერისას ყველაზე მეტად ხორცეულობას ახსენებს, მათ შორის — ნანადირევსაც. ასევე ამბობს, რომ შემოიტანეს სამნაირი პური, ყველა ჯურის ფლავი, სამარხვო და სახსნილო კერძებიო. შარდენი განსაკუთრებით იმან გააკვირვა, რომ სუფრასთან მსხდომი 150 კაცი არ ხმაურობდა და თან ძალიან ბევრს სვამდა.

„მე რომ დამელია იმდენი, რამდენიც ჩემს გვერდით მჯდომმა სვა, იქვე მოვკვდებოდი, მაგრამ მეფემ ხათრი გაგვიწია და უბრძანა, ჩვენთვის არ დაელევინებინათ სადღეგრძელოები“, — წერს შარდენი.

როზეტა გუჯეჯიანი ამბობს, რომ ქართული დესერტი, ანუ ტკბილეული, ხშირად თაფლიანი ხილი ან სხვადასხვანაირი ქადები იყო. რაც შეეხება მარილს, ის ალზევანიდან მოჰქონდათ და ძალიან ძვირი ღირდა. ალზევანი დღევანდელი ბაქოს მიმდებარე ტერიტორიაა. მგზავრობა რთული იყო, ამიტომ მარილის მოსატანად ჯგუფი უნდა წასულიყო. ხშირად მეურმეებს თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ კიდეც. სწორედ აქედან მოდის გამოთქმა — „მარილზე გავიდა“. როზეტა გუჯეჯიანის თქმით, მარილი განსაკუთრებით ჭირდა მთაში და მთიულები ბარში ჩამოდიოდნენ, რათა სხვადასხვა სამუშაოში გასამრჯელოდ მარილი მიეღოთ.

განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ცხარე სანელებლებსაც. მათი კერძებში დამატება დასავლეთ საქართველოში — განსაკუთრებით, სამეგრელოში — კოღოების გამო დაიწყეს.

„მოგეხსენებათ, კოლხეთის დაბლობი ჭაობიანი ტერიტორია იყო, აქ არსებობდა მალარიის საფრთხე და მწარე წიწაკის გამოყენებით სწორედ ამ მალარიას ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენი წინაპრები“, — ამბობს როზეტა გუჯეჯიანი.

სამაგიეროდ, ირკვევა, რომ მეგრელები კატეგორიულად არ ჭამდნენ მარწყვს. ეს არქანჯელო ლამბერტის აქვს ნათქვამი: „მარწყვი ისე ბლომად არის მინდვრებში, თითქოს წითელი ხალი დაუგიათო, მაგრამ არავინ არც კრეფს და არც ჭამს მას, რადგან ძლიერ ეზიზღებათ იგი. მეგრელებს სწამთ, რომ მარწყვს გველები ჭამენ და სუნავენ. მე კი ხშირად მიჭამია იგი და ჩემთვის არამცთუ ვნება არ მოუტანია, არამედ დიდი სიამოვნებაც მიგრძვნია“, — წერს არქანჯელო ლამბერტი თავის „სამეგრელოს აღწერაში“.

**თეა თოფურია**
**რადიო „თავისუფლება“**

## სარფში ინტერპოლით ძებნილი დააკავეს

**თბილისის ინტერპოლის და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის სამსახური „სარფის“ თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას ვისბადენის ინტერპოლის მიერ 2016 წლის თებერვლიდან საერთაშორისო დონეზე ძებნილი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ელვინ ი. დააკავეს.**

ელვინ ი-ს ბრალი ედება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 249-ე, 250-ე და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ყაჩაღობას გულისხმობს.

ამ დროისთვის ელვინ ი-ს მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

## ტყიბულში 40 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს

**ინციდენტი მკვლელობაში ბრალდებულის სახლში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.**

შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებული უკვე დაკავებულია. მან მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრა და მიიმალა. დაჭრილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დაკავებული აღიარებს დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

## პატიმარს მობილურ ტელეფონს გადასცემდა...

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული პირისთვის აკრძალული საგნის, კერძოდ, მობილური ტელეფონის გადაცემის მცდელობისთვის მოქალაქე დააკავა.**

სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია მოქალაქე ა.კ, რომელიც მობილური ტელეფონის გადაცემას, ამანათის სახით, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული, მისი ახლობელი მსჯავრდებულისთვის — ე.ლ-სთვის ცდილობდა. საამანათო განყოფილებაში შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ გამორთულ მდგომარეობაში მობილური ტელეფონი ე.ლ.-სთვის განკუთვნილ ტანსაცმელში იყო გახვეული.

**განცხადება**

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ხუთი წლის ექვს იანვარს გარდაცვლილი ქალბატონის რუდსკიხ კლარა ვლადიმერის ასულის მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი
**ვალიდა ნინიძე**

## თურქი ბიზნესმენი ომერ სარი ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე დახმარებას რეჯებ ტაიპ ერდოღანს სთხოვს

**ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი საქართველოს ხელისუფლებას სერიოზულ პრობლემას თურქეთის ხელისუფლებასთანაც უქმნის. როგორც გაირკვა, მას თურქი ბიზნესმენი ომერ სარი უჩივის, რომელიც ფოთის პორტის ოპერატორ კომპანიებში — „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოში“, 5-5%-იანი წილის მფლობელია. იგი 2008-2009 წლებში ამ კომპანიებიდან ჩხარტიშვილის მიერ გატანილი 3 მილიონი აშშ დოლარის დაბრუნებას ითხოვს. 2013 წელს მან ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსა და მთავარ პროკურატურას სარჩელებით მიმართა, თუმცა იმის გამო, რომ საქმის გამოძიება ჭიანურდება, ომერ სარი აპირებს, დასახმარებლად თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართოს, რათა ამ უკანასკნელმა ოფიციალურ შეხვედრებსა და ვიზიტებზე საქართველოს ხელისუფლებისგან გამოძიების დაჩქარება მოითხოვოს.**

ამის შესახებ ექსკლუზიურ ინფორმაციას გაზეთი „ვერსია“ ავრცელებს, რომელიც დეტალების გასარკვევად თურქი ბიზნესმენის ადვოკატს მამუკა კაკუშაძეს დაუკავშირდა. მისი ინფორმაციით, „ამ საქმესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია 2013 წელს გავმართეთ. ამის შემდეგ, ივანე ჩხარტიშვილის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ თანახმა იყვნენ, პრობლემა მოლაპარაკებით, სასამართლოს გარეშე მოგვარებულიყო. რამდენიმე შეხვედრა გავმართეთ, ჩხარტიშვილის ადვოკატებმა დავალიანება აღიარეს და გადმოგვცეს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ ომერ სარის მიმართ დავალიანება აქვთ. თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა. ვფიქრობ, ამას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ლონდონში, ივანე ჩხარტიშვილსა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის სასამართლო პრო-



ცესი დასრულდა, რომელიც ჩხარტიშვილმა წააგო და, სავარაუდოდ, ბატონმა ვანომ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა, ჩვენთვის 1 ლარი მაინც დაებრუნებინა...“

ადვოკატი აცხადებს, რომ საუბარი იყო 3 მილიონი აშშ დოლარის დავალიანებაზე, რომელიც დღეს 5 მილიონამდეა ასული. ეს არის არა უშუალოდ ომერ სარის თანხა, რომელსაც „პრომეტკოსა“ და „ჯესკოში“, 5-5%-იან წილებს ფლობდა, არამედ ამ კომპანიების. მამუკა კაკუშაძის განცხადებით, ისინი ითხოვენ, რომ ეს დავალიანება დააბრუნონ კომპანიებში, ან ჩვენი კუთვნილი თანხა მოგვცენ.

## „ოქროს ტალღა 2015“ 23 ივნისს გაიმართება

**23 ივნისს „ოტიუმში“ წლის სიმღერის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება. მუსიკალური კონკურსი, რომელიც რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ დააფუძნა, უკვე მესამედ ტარდება. 2014 წელს გამარჯვებული გახდა სიმღერა „Waterfall“, ნოდიკო ტატიშვილისა და სოფო გელოვანის შესრულებით, 2015 წელს კი ანრი ჯოხაძე სიმღერით - „განა, ყველა ქალი ქალია“.**

როგორც რადიოჰოლდინგ „ფორტუნას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თამარ სადრაძემ განაცხადა, რადიოჰოლდინგმა „ფორტუნამ“ წლის სიმღერის კონკურსი იმისთვის დააფუძნა, რომ ხელი შეუწყოს ქართული სიმღერის პოპულარიზაციას, დააფასოს მუსიკალურ სფეროში მოღვაწე ადამიანების შრომა და წარმოაჩინოს ახალგაზრდა მუსიკოსები. წლის სიმღერის, ასევე სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს კომპეტენტური ჟიური შეარჩევს, ხალხის რჩეული ინტერნეტ-გამოკითხვით დასახელდება, რადიოსადგურებს საკუთარი რჩეულები ეყოლებათ. წლის სიმღერის კატეგორიაში გამარჯვებულს რადიოჰოლდინგი ფულადი პრიზით, 5000 ლარით დააჯილდოებს.

## ხაშურს ახალი სპორტული კომპლექსი ექნება

**ხაშურის მუნიციპალიტეტში, სპორტული კომპლექსის მშენებლობის პროცესი შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ ოქრომელიძემ და რაიონის ხელმძღვანელობამ დაათვალიერეს. პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს შეემატება 600 ადამიანზე გათვლილი საშეჯიბრო, საჭიდაო, სატრენაჟორო დარბაზები.**



კომპლექსის მშენებლობა მოსახლეობის, უმეტესწილად კი ახალგაზრდობის მოთხოვნას წარმოადგენდა და პროექტი ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.

„წლების განმავლობაში სპორტული კომპლექსის ტერიტორია ნაგავსაყრელად გამოიყენებოდა და მას სხვა დანიშნულება არ ჰქონდა. ამ მასშტაბური პროექტის ფარგლებში კი მივიღებთ 600-კაციან საშეჯიბრო, საჭიდაო და სატრენაჟორო დარბაზებს. ამასთანავე, იქნება სასტუმრო და კვების ბლოკი. შესაბამისად, ეს იქნება სრული კომპლექტი იმისათვის, რომ მივიღოთ ნებისმიერ სახის სპორტული შეკრება ადგილობრივ თუ რეგიონალურ დონეზე. გარდა ამისა, კეთილმოეწყობა ეზოს მიმდებარე ტერიტორია, სადაც დაიგება 2000 $м^2$-ზე მეტი ხელოვნური საფარი. სპორტულ კომპლექსს აგრეთვე ექნება საკუთარი ავტოსადგომი“, — აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასპაშვილმა.

## კოკო შანელის პლაგიატი

**საფრანგეთის სპეცსამსახურებმა საარქივო მასალები გაასაიდუმლოეს და აღმოჩნდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი კოკო შანელი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის ჯაშუში ყოფილა.**

მოდის სამყაროში მან დიდება სამოსელის ახალი სტილის (ძვირიანი სისადავის) შექმნით მოიპოვა, რომლის მთავარი მდგენელებია მოკლე შავი კაბა და მოკლედ შეკრეჭილი თმა. რაც შეეხება ცნობილ სუნამოს „შანელ №5“-ს, აქ საქმე სხვაგვარადაა.

ამ სუნამოს მსოფლიო ქვეყნებში ტრიუმფალური სვლა 1921 წლის მაისში დაიწყო, რასაც ხელი შეუწყო კოკოს საყვარელმა, რუსეთის საიმპერატორო ოჯახის წევრმა, დიდმა თავადმა დიმიტრი რომანოვმა, აგრეთვე სამეფო რუსეთის კიდევ ერთმა ყოფილმა ქვეშევრდომმა — ერნსტ ბომ, სამეფო ოჯახის მთავარმა პარფიუმერმა, რომელმაც... ის თავად შექმნა, კოკო შანელი კი მხოლოდ მისი ნათლია გახდა.




წარმოშობით ფრანგი თეთრგვარდიელი ერნსტ ბო, რევოლუციის შემდეგ საფრანგეთში გაიხიზნა, სადაც მსოფლიო პარფიუმერიის ცენტრ ქალაქ გრასში დიდ წარმატებას მიაღწია. მადმუაზელ შანელმა (მისი ნამდვილი სახელია გაბრიელა, „კოკო“ კი ფრანგულად „კმაყოფაზე მყოფ ქალს“ ნიშნავს), ბატონ ბოს ახალი სუნამოს შექმნა სთხოვა. ნახევარ წელიწადში პარფიუმერმა მას ერთიდან ხუთამდე დანომრილი უსახელო სუნამოები წარუდგინა, რომელთაგან საუკეთესო №5 გამოდგა...

## უცნაური გზავნილები

**108 წელი იმგზავრა ზღვებსა და ოკეანეებში პლიმუტის (დიდი ბრიტანეთი) ბიოლოგიური ასოციაციის თანამშრომელთა მიერ ბოთლში ჩადებულმა გზავნილმა.**

მეთევზეების მიერ ზღვის წყლიდან ამოღებული ბოთლი 1904-1906 წლების შუალედში ჩაგდებულ 1020-დან ერთ-ერთ აღმოჩნდა — ექსპერიმენტის მიზანს ჩრდილოეთის ზღვის დინებათა შესწავლა წარმოადგენდა. ყველა ბოთლში ჩადებული იყო ღია საფოსტო ბარათი თხოვნით მისი გამგზავნისათვის დაბრუნების თაობაზე, გასამრჯელოდ კი ერთი შილინგი იყო დათქმული.

„რეკორდსმენი“ ბოთლი ცოლქმრულმა წყვილმა გერმანიის კურორტ ამრუმის პლაჟზე ამოიღო წყლიდან. იმის მიუხედავად, რომ მისი გაგზავნიდან საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, წყვილმა შეპირებული გასამრჯელო მიიღო — ძველი მოჭრილი შილინგი მეცნიერებმა აუქციონზე იყიდეს.

მანამდე კი ზღვაში ბოთლში ჩადებული გზავნილის რეკორდი — 99 წელი და 43 დღე — წერილს ეკუთვნოდა, რომელიც 2013 წელს შეტლანდის კუნძულებთან მეთევზეთა ბადეს მოყვა და ასევე კვლევის მიზნით იყო „გაგზავნილი“.

* * *

**გზავნილობის სიშორის რეკორდად კი მიჩნეულია ამერიკული კოსმოსური აპარატების „პიონერ 10“ და „პიონერ 11“-ით, შესაბამისად 1972 და 1973 წლებში გაშვებული შეტყობინებები.** დისკოებზე სქემატურად ჩაწერილია მონაცემები მზის სისტემაზე, დედამიწასა და ადამიანებზე, „ადრესატი“ კი ჰიპოთეტური კოსმოსური ცივილიზაციაა **(სხვა-**



**თა შორის, სხვა ყველაფერთან ერთად, კოსმოსში ახლაც მიფრინავს ჩვენი საამაყო სიმღერა „ჩაკრულო“ — რედ).**

ამ ხნის მანძილზე, „პიონერ 10“ დედამიწიდან 17 მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული, „პიონერ 11“ კი — 13,6 მილიარდი კილომეტრით.

* * *

**კორესპონდენციის ადრესატამდე მისვლის ყველაზე დიდი ვადა 89 წელია: 2008 წელს, ინგლისელმა ქალბატონმა ჯანეტ ბარეტმა 1919 წელს მის სახელზე გაგზავნილი ღია ბარათი მიიღო.** ეს იყო ვინმე პერსი ბეიტმანის პასუხი წვეულებაზე მიწვევასთან დაკავშირებით. თუ სად იყო წერილი თითქმის ცხრა ათეული წლის მანძილზე, ამის ახსნა ბრიტანეთის სამეფო ფოსტის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს.

## ტანმოხატულთა ფესტივალი

**გაზაფხულის მიწურულს, ათენში მე-10 საერთაშორისო ტატუ-ფესტივალი გაიმართა.**

მასში მონაწილეობის მისაღებად საბერძნეთის დედაქალაქში ათასზე მეტი მონაწილე და მსოფლიოს საუკეთესო ტატუ-მხატვარი შეიკრიბა. სამი დღის განმავლობაში, მაყურებელთა თვალწინ, ოსტატები ახალ სვირინგებსა და ტანის მოსახატ სურათებს — ბოდი-არტს ქმნიდნენ.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა კონკურსები სხვადასხვა ნომინაციაში, მათ შორის იყო „საუკეთესო ფერადი სვირინგი“, „საუკეთესო სვირინგი შავ-რუხ ელფერებსა“ და სხვა.




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**— როგორ ცხოვრობთ აქაურები? — ეკითხება ოდესაში სტუმრად ჩამოსული ტიპი ადგილობრივ ტაქსისტს.**

**— იცით, ადრე კარგად ვცხოვრობდით. ახლა უკეთ ვცხოვრობთ, მაგრამ ძალიან გვინდა, რომ ისევ კარგად ვცხოვრობდეთ.**

* * *

**სიყვარული მართლაც ბრმაა.**

**— სამაგიეროდ, ცოლქმრული ცხოვრებაა გენიალური ოკულისტი.**

* * *

**— როგორ გგონია, რითი სჯობს ჩემოდნის ავსება სამოგზაუროდ წასვლის წინ?**

**— რა თქმა უნდა, ფულით.**

* * *

**პირველი ღამე ქორწინების შემდეგ. პატარძლის მშობლებს აღვიძებს ყვირილი მეორე ოთახიდან:**

**— დედა! დედა!**

**დედა აპირებს, რომ ადგეს და გაიგოს, რაშია საქმე.**

**— დაიძინე, თავად გაერკვევიან... — აჩერებს ქმარი.**

**ცოტა ხნის შემდეგ ისევ ისმის:**

**— დედა, დედა-ა-ა!**

**დედა დგება, მიდის კარისკენ, მაგრამ ისევ ქმარი აჩერებს:**

**— ხომ გეუბნები, თავად მორიგდებიან-მეთქი! ჩვენი ამბავი გაიხსენე!**

**და ისევ ისმის:**

**— დედა, დედიკო, დედა-ა-ა-ა!**

**დედა ხელიდან დაუძვრება ქმარს, კარს ლამის შეანგრევს და შეფრინდება ახალდაქორწინებულთა ოთახში.**



**— რაო, ჩემო გოგონა, ჩემო სიხარულო, რა ხდება?**

**— უჰ, რა კარგია, დედა...**

**გამოიწერეთ:**
**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

### უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.129; ევრო - 2.399;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.017;
100 რუბლი - 3.238; თურქული ლირა - 0.727;
აზერბაიჯანული მანათი - 1.408;
1000 სომხური დრამი - 5.438

### ამინდი 17 ივნისისთვის

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +14, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE